უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დევიდ არნი, ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ესტონეთი

წევრები:

ინგა ბოჭოიძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ლევან ციცქიშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

ანზორ ბერიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

გაიოზ ფარცხალაძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ილია ბოცვაძე, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

ანა მიხელიძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2024

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი შედგება ხუთი სკოლისგან, რომლებიც ახორციელებენ 25 საგანმანათლებლო პროგრამას. ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება თავისუფალ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რომელთანაც დაწესებულებას გააჩნია საზიარო ფინანსური საფუძველი, ადმინისტრაციული ზედამხედველობა და კამპუსი. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 14 სამეცნიერო ინსტიტუტი, რომლებიც მოიცავენ 26 კვლევით და 30 სასწავლო ლაბორატორიას. გარდა ამისა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უნივერსიტეტი ფლობს სამ საველე ცენტრს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ვეტერინარული კლინიკა, სადაც ძირითადად მკურნალობენ მცირე ზომის ცხოველებს და აღნიშნული კლინიკა ინტეგრირებულია სტუდენტების სასწავლო პროცესში. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა კამპუსის ტერიტორიაზე არსებული ღვინის წარმოების ობიექტი (ღვინის დეგუსტაციის შეფასების და ანალიზის ლაბორატორია) და მცირე ზომის ცხოველების სადგომი. უნივერსიტეტის კამპუსში ასევე ფუნქციონირებს კულინარიის აკადემია, რომელსაც გააჩნია სწავლა და სწავლების როლი.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

წინა საავტორიზაციო შეფასების საპასუხოდ, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა ხარისხზე უკუკავშირის ადმინისტრირების სამსახური. გამარტივდა შიდა კომუნიკაცია და ამჟამად ძირითადად ხორციელდება ელექტრონულ რეჟიმში. განახლდა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც ამჟამად საჯაროდ ხელმისაწვდომია. შეფასების პროცესი განხორციელდა მშვიდ გარემოში, ყოველგვარი შეფერხებების გარეშე. ექსპერტთა ჯგუფისთვის და გასაუბრებებისთვის გამოყოფილი იყო კომფორტული, ნათელი და ღია ოთახი. რესპონდენტები გასაუბრებებს ესწრებოდნენ დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით და ყოველთვის დროულად. რესპონდენტები მზად იყვნენ კითხვებზე პასუხების გასაცემად, არ გაურბოდნენ კითხვებს და თავისუფლად აფიქსირებდნენ თავიანთ მოსაზრებებს დისკუსიების პროცესში. გასაუბრებების დროს არ დადასტურდა, რომ რესპონდენტებს წინასწარ ჰქონდათ მომზადებული პასუხები. ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა ღიაობის და გამჭვირვალობის შთაბეჭდილება. აღნიშნული დასკვნა დაიწერა ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრის თანამშრომლობით და ყველამ შეიტანა წვლილი, და ხელმოწერილია ჯგუფის ყველა წევრის მიერ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

შვიდივე სტანდარტთან მიმართებით ფიქსირდება სულ მცირე მეტწილი შესაბამისობა, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში დაფიქსირებულია სრული შესაბამისობა მოთხოვნებთან. სამომავლოდ სტანდარტების მოთხოვნებთან აბსოლუტური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ოთხი რეკომენდაცია შემდგომი მოქმედებისთვის, ხოლო უნივერსიტეტის საქმიანობის გასაუმჯობესებლად ექსპერტებმა შეიმუშავეს რამოდენიმე რჩევა. საუკეთესო პრაქტიკები გამოვლენილი და ჩამოთვლილია.

რეკომენდაციები

კომპონენტი 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- რეკომენდებულია, შემუშავდეს მკაფიო და ეფექტური პროცედურები ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შესაფასებლად.

კომპონენტი 4.1 პერსონალის მართვა

- რეკომენდებულია, 2031 წლისთვის შემუშავდეს აკადემიური პერსონალის საქმიანობის, მათ შორის კვლევასთან დაკავშირებული აქტივობების სამიზნე ნიშნულები.

- **კომპონენტი 6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია**
  რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების ფორმალიზება შესაბამისი დოკუმენტის შემუშავებით, რომელიც აკადემიურ პერსონალს მიაწვდის მკაფიო ინფორმაციას ხელმისაწვდომი რესურსების, ასევე, მათზე წვდომის მოსაპოვებლად საჭირო ნაბიჯების და პროცედურების შესახებ.

კომპონენტი 6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის და კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცედურა და დაინერგოს შედეგების ანალიზის სისტემა, რაც უზრუნველყოფს შემდგომი განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.

რჩევები

კომპონენტი 1.2 სტრატეგიული განვითარება

- სასურველია, სამოქმედო გეგმა მოიცავდეს შესაბამისი აქტივობების დასრულების თარიღებს.

- სასურველია, სტრატეგიულ დაგეგმვაში განხორციელდეს პერსონალის და სტუდენტების წვლილის ფორმალიზება, აღრიცხვა და დოკუმენტირება.

კომპონენტი 2.2 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის საერთო მიზანს წარმოადგენდეს ხარისხის კულტურის დამკვიდრება (რაც გულისხმობს ხარისხის პასუხისმგებლობების მეტ ფორმალიზებას, ასევე მრავალმხრივი შეფასებების გამოყენებას).
- სასურველია, პერსონალის შეფასება განხორციელდეს სტანდარტების მიხედვით, მკაფიო ნიშნულების და ძირითადი შესრულების ინდიკატორების გამოყენებით.

კომპონენტი 2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

სასურველია, გამოყენებული იყოს მსგავსების / პლაგიატის აღმოჩენის პლატფორმა, აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოსავლენად.

კომპონენტი 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

- სასურველია, "საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიაში", წარმოდგენილი იყოს უფრო დეტალური ინფორმაცია პროგრამების შეცვლის ან გაუქმების პროცედურის შესახებ.

კომპონენტი 3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- სასურველია, გაძლიერდეს სასწავლო გეგმა ბიოინფორმატიკის სფეროში კრედიტების დამატებით, ახალი კურსების ჩართვით და ა.შ.

კომპონენტი 3.3 სწავლის შედეგების შეფასება

- სასურველია, უკეთესი ხელმისაწვდომობისთვის, საგანმანათლებლო პროგრამას დაერთოს სწავლის შედეგების რუკა.

კომპონენტი 4.1 პერსონალის მართვა

- სასურველია, უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა უნივერსიტეტის კოლეგიალურ ორგანოებში და ხელი შეეწყოს მათ უფრო

აქტიურ მონაწილეობას უნივერსიტეტის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

- სასურველია, აკადემიურმა, სამეცნიერო, ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა მიიღოს უკუკავშირი თავიანთი შეფასების შედეგების შესახებ და გამოავლინონ გასაუმჯობესებელი სფეროები.

- სასურველია, აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებლის გამოვლენილი გასაუმჯობესებელი სფერო შეფასდეს ხელახლა და სამიზნე ნიშნული შეესაბამებოდეს მოთხოვნებებს.

კომპონენტი 4.2 აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

- სასურველია, კვლევითი საქმიანობისთვის განსაზღვრული საათების შესრულების შესახებ წარმოდგენილი იყოს უფრო დეტალური დოკუმენტაცია.

კომპონენტი 5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

სასურველია, რომ უნივერსიტეტმა მეტად იმუშაოს სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოს არსებობის და როლის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტებს და ადმინისტრაციას შორის უფრო პირდაპირ და ეფექტურ კომუნიკაციას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტერესების მეტად გათვალისწინებას.

კომპონენტი 6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს გაცვლით პროგრამებზე თანაბარი წვდომა ყველა დეპარტამენტის სტუდენტებისთვის.

კომპონენტი 7.2 საბიბლიოთეკო რესურსები

- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს თანამედროვე, ახალი ლიტერატურის ციფრულ ფორმატში გადაყვანის პროცესის რაც შეიძლება მოკლე დროში დასრულება, აღნიშნულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით.

კომპონენტი 7.3 საინფორმაციო რესურსები

სასურველია, რომ სათადარიგო ინტერნეტის სიჩქარე, რომელიც 2 მეგაბაიტია გლობალური რესურსებისათვის, დაბალია და მნიშვნელოვანია ამ ხარვეზის გამოსწორება.

საუკეთესო პრაქტიკები

კომპონენტი 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტთან ერთად ახორციელებს ერთობლივ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს STEM -ის (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა) სფეროებში. დაწესებულებებს, დეპარტამენტებს, ინსტიტუტებს და სტუდენტებს შორის აღნიშნული კავშირი წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას.

კომპონენტი 4.1 პერსონალის მართვა

- მაღალკვალიფიციური, მოტივირებული და დაინტერესებული პერსონალი და მათი მხარდაჭერის კარგი მექანიზმები.

კომპონენტი 5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის სერვისების მაღალი ხარისხი.

კომპონენტი 7.1 მატერიალური რესურსები

- ვეტერინარული კლინიკური საქმიანობა და ვეტერინარული მომსახურების კომერციალიზაცია უდავოდ წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის კომპონენტს.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი უსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის თაობაზე

კომპონენტი 2.2.

დაწესებულებამ წარმოადგინა მნიშვნელოვანი განმარტება ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შესახებ, რომლის უმეტესი ნაწილი აღნიშვნის ღირსია. თუმცა, დასკვნაში წარმოდგენილი შემდეგი პუნქტებით დასტურდება, რომ ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების სიცხადე ბუნდოვანია. დაწესებულება აცხადებს, რომ მათი მართვის პრაქტიკისთვის აღნიშნულის უზრუნველყოფა იქნებოდა რთული და პოტენციურად საზიანო. მათი მოსაზრებით, არ არსებობს იმის მიზეზი, თუ რატომ უნდა იყოს ასე. თუმცა, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება არ არის სათანადოდ მკაფიო და ძირითადად ხორციელდება დეპარტამენტების ხელმძღვანელების, ფაკულტეტების და რექტორატის მიერ. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია აკადემიური პერსონალისთვის და მათ მიერ შესრულებული საქმიანობისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრული შიდა სამიზნე ნიშნულები, იმისათვის, რომ ეფექტურად მართოს დაწესებულების საქმიანობა. სხვადასხვა ჯგუფებთან განხორციელებული ინტერვიუების ფარგლებში გამოვლინდა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მკაფიო შეფასების მექანიზმის საჭიროება, რომელიც დაფუძნებული იქნება ინდიკატორებზე, სამიზნე ნიშნებზე და შესაბამის ძირითადი შესრულების ინდიკატორებზე, უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტურად მართვის უზრუნველსაყოფად.

კომპონენტი 4.1.

"რეკომენდებულია, 2031 წლისთვის შემუშავდეს აკადემიური პერსონალის საქმიანობის, მათ შორის კვლევასთან დაკავშირებული აქტივობების სამიზნე ნიშნულები".

უნივერსიტეტს უკვე შემუშავებული აქვს სამიზნე ნიშნულები, მათ შორის პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც კვლავ საჭიროებს გარკვეულ კორექტირებას. თუმცა, დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულები. დაწესებულება აცხადებს, რომ აღნიშნული რეკომენდაციის განხორციელება არ არის საჭირო და არ შეესაბამება საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში არსებულ შეფასების ჩარჩოს. დაწესებულება ამტკიცებს, რომ:

"დირექტივა (ანუ რეკომენდაცია) 2031 წლისთვის აკადემიური პერსონალის საქმიანობის სამიზნე ნიშნულების შემუშავების შესახებ არ არის საჭირო, შეცდომაში შემყვანია და არ შეესაბამება საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში არსებულ შეფასების ჩარჩოს. უნივერსიტეტს უკვე შემუშავებული აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების მყარი, დინამიური და კონფიდენციალური სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ინდივიდუალური განვითარების ტრაექტორიებზე და დისციპლინურ მრავალფეროვნებაზე.

მკაცრი სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა ხელს შეუშლის უკვე არსებულ ეფექტურ სისტემას, გაზრდის ბიუროკრატიას და პოტენციურ ზიანს მიაყენებს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლობით და ინოვაციურ კულტურას. შესაბამისად, დირექტივა (ანუ რეკომენდაცია) უნდა გაუქმდეს და უნდა ჩაითალოს, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი სრულად შეესაბამება მე -4 სტანდარტის 4.1 პერსონალის მართვის კომპონენტის მოთხოვნებს."

შეგახსენებთ, რომ 4.1 კომპონენტის ერთ - ერთი მოთხოვნაა:

"უსდ განსაზღვრავს თავისი პერსონალის და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სამიზნე ნიშნულებს ინსტიტუციის საქმიანობის ეფექტური მართვისთვის; ის ასევე მუდმივად ცდილობს გაუმჯობესოს სამიზნე ნიშნულები".

სტანდარტის მოთხოვნების განხორციელება უარყოფითად არ უნდა აისახოს დაწესებულებაზე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია უნდა დარჩეს უცვლელი.

კომპონენტი 5.2.

დიახ, ჩვენ გავითვალისწინეთ დაწესებულების უკუკავშირი და დავეთანხმეთ მას. თვითმმართველობის ორგანო წარმოადგენს მნიშვნელოვან და აუცილებელ უზრუნველყოფას, რომელიც არსებობს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის შეშფოთება გამოიწვია იმან, რომ სტუდენტები არ ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ. ეს საკითხი ახლა წარმოდგენილია რჩევის სახით.

კომპონენტი 6.2.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების თანახმად, "უსდ-ს უნდა ჰქონდეს კვლევის დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები". ექსპერტები არ ამტკიცებენ, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნია კვლევის მხარდაჭერის სისტემა; პირიქით, მათი მიგნება ეხება ფორმალიზაციის არარსებობას და სტანდარტთან შეუსაბამობას. შესაბამისად, თუ უნივერსიტეტს სურს არ დაეთანხმოს აღნიშნულ შეფასებას, მან პირდაპირ უნდა მიუთითოს ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებზე და არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია არ უნდა შეიცვალოს.

კომპონენტი 6.3.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების თანახმად, "უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი - სახელოვნებო საქმიანობის ხარისხის და სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების და ანალიზის სისტემა". ექსპერტები ეჭვქვეშ არ აყენებენ კვლევის შედეგების ხარისხს; პირიქით, ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ კვლევის მაღალ დონეს, როგორც ეს წარმოდგენილია დასკვნაში. დასკვნაში განხილულია შეფასების სისტემა, რომელშიც მოცემულია, რომ: "დასკვნაში აღწერილია, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს თითოეული კომპონენტი. პერსონალთან და ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან განხორციელებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ ნამდვილად ხორციელდება შეფასების პროცესი. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ცალკეული აკადემიური პერსონალის და ინსტიტუტების / დეპარტამენტების სამეცნიერო საქმიანობის შეფასებების და ანალიზის დოკუმენტების ნიმუშები, შესაბამისი სამოქმედო გეგმით (არსებობის

შემთხვევაში). სამწუხაროდ, აღნიშნული დოკუმენტები არ იქნა წარმოდგენილი. " აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ დასტურდება უსდ - ს უკუკავშირით, რომელშიც აღნიშნულია, რომ რეკომენდაცია "ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს ხელი არ მიუწვდებოდა კონფიდენციალურ შეფასების დოკუმენტებზე." შესაბამისად, ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია უნდა დარჩეს უცვლელი.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	**უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐

5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. დევიდ არნი (თავმჯდომარე)
2. ინგა ბოჭოიძე,
3. ლევან ციცქიშვილი,
4. ანზორ ბერიძე,
5. გაიოზ ფარცხალაძე,
6. ილია ბოცვაძე,
7. ანა მიხელიძე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ - ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტის მისია მკაფიო და დეტალურია. ის საკმაოდ ვრცელია საერთაშორისო მასშტაბით სხვა მსგავსი დაწესებულებების მისიებთან შედარებით და ზოგადად უნივერსიტეტის მისიისისთვის. თუმცა ის ნათლად წარმოაჩენს უნივერსიტეტის

ფილოსოფიას. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მისია "არ არის მხოლოდ ფორმალური განაცხადი, არამედ ის განსაზღვრავს საუნივერსიტეტო ცხოვრებას". აღნიშნული მოიცავს ქართული ენაზე სწავლის მნიშვნელობას და ორიენტაციას, რაც აღსანიშნია, თუმცა ზღუდავს ინტერნაციონალიზაციას და პერსონალის და სტუდენტების მობილობას (განსაკუთრებით შემომავალი სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის). მისიის შინაარსი გადამოწმდა პერსონალთან, მოქმედ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. სტუდენტებმა და პერსონალმა ვერ შეძლეს მისიის დეტალურად ციტირება, რაც არც იყო მოსალოდნელი, თუმცა მათ იცოდნენ ამის შესახებ. მათი პასუხებით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში სწავლების და სწავლის მათი გამოცდილება შეესაბამებოდა უნივერსიტეტის გაცხადებულ მისიას. დეტალურად წარმოვადგენთ მისიის სხვა პუნქტებს;

უნდა გაძლიერდეს კრიტიკული აზროვნება. აღნიშნული დაადასტურა სწავლების პროცესში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება წარმოადგენს ერთ - ერთ სწავლების მიდგომას, რომელიც დანერგილია პრაქტიკაში).სტუდენტებიც ინფორმირებულნი იყვნენ აღნიშნულის შესახებ. მეტად დამაჯერებელია, რომ ეს აღინიშნა რამდენიმე დამსაქმებლის მხრიდანაც, რომლებმაც დაუფიქრებლად განაცხადეს, რომ კრიტიკული აზროვნება მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის და ეხმარება მათ დასაქმებაში.

ასევე, დადასტურდა სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა და ეს ბევრჯერ იქნა აღნიშნული ვიცე - რექტორების, დეკანების, პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ.

მისია, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების, საზოგადოების, ადამიანების და ხელოვნების გაგებას, ასევე აღქმულია სერიოზულად და არა მხოლოდ როგორც კარგი იდეა, რომელიც დამატებული იყო მისიაში. სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევდნენ უნივერსიტეტის ხელოვნების სფეროს პერსონალი და მათთვის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომია ხელოვნების სტუდია. მისია განსაზღვრავს მიზანს შექმნას "ახალგაზრდებისთვის... შესაბამისი გარემო". ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავდაპირველად გამოხატავდნენ შეშფოთებას, რომ აღნიშნულს შეიძლება გამოერიცხა ზრდასრული სტუდენტების ინტერესები, მაგრამ უსდ-ს ხელმძღვანელობამ განაცხადა და გასაუბრების დროს ძველმა და ამჟამინდელმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ეს არ შეესაბამებოდა რეალობას. მისიაში ასევე აქცენტი კეთდება სტუდენტების კარიერიული განვითარების შესაძლებლობებზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის და ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ - ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

უნივერსიტეტს გააჩნია დოკუმენტირებული უნივერსიტეტის ხედვა, რომელიც, მისიის მსგავსად შეესაბამება საქართველოს და საერთაშორისო უმაღლესი განათლების მიზნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

უნივერსიტეტის მისიის დოკუმენტი, გასაუბრებები მენეჯმენტთან, ვიცე - რექტორებთან, დეკანებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კომპონენტის მტკიცებულებები / ინდიკატორები, დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ - ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ - ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელსაც თან ახლავს სამოქმედო გეგმა. გეგმა დეტალურია, ასახავს უნივერსიტეტის მისიას და შეესაბამება შეფასების კრიტერიუმების მოთხოვნებს. მასში ასახულია უსდ-ს ქვეყნის სოციალურ განვითარებაში ჩართულობა, ფართო საზოგადოებისთვის დაწესებულების მიერ ცოდნის გაზიარება და უწყვეტი განათლების წახალისება. ის მოიცავს ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას და განხორციელებას, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვას, კვლევას, სახელოვნებო და შემოქმედებით საქმიანობას, ასევე, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. სტრატეგიული გეგმა ასევე განსაზღვრავს და მოიცავს გაზომვად შეფასების კრიტერიუმებს. სტრატეგიული გეგმა ზუსტად ასახავს რეალობას. სამოქმედო გეგმა არ მოიცავს ქმედებების დასრულების კონკრეტულ თარიღებს. შესაბამისად, სასურველია უნივერსიტეტმა დაამატოს აღნიშნული მონაცემები, რათა ხელი შეუწყოს აქტივობების დროულ მართვას და შემოწმებას. შესასრულებელი აქტივობები განსაზღვრულია ფინანსურ რესურსებთან კავშირში. სტრატეგიული განვითარების დაგეგმვა არ არის მხოლოდ მმართველი რგოლის მიერ

შექმნილი დოკუმენტი, არამედ სტუდენტებმა (მათ შორის ახალმა კურსდამთავრებულებმა) და პერსონალმა, კვლევითი ინსტიტუტის პერსონალის ჩათვლით და დამსაქმებლებმა (გამოკითხვის უკუკავშირის საფუძველზე და არა პროცესში პირდაპირ მონაწილეებმა) დაადასტურეს, რომ უსდ-მ მათ მოსთხოვა მათი მოსაზრებების გაზიარება სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით. პერსონალმა განაცხადა, რომ ისინი კმაყოფილები იყვნენ იმით, რომ უსდ-მ გაითვალისწინა მათი შეხედულებები, თუმცა ეს კონსულტაციის პროცესი არ იყო ფორმალიზებული. კვლევითი ინსტიტუტის პერსონალი და ზედა რგოლის ხელმძღვანელობა მართავენ შეხვედრებს წელიწადში ორჯერ, სტრატეგიული გეგმის განხილვის მიზნით. ამრიგად, უნივერსიტეტში არსებობს გარკვეული ფორმალური მიდგომა სტრატეგიული განვითარებისადმი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ განხორციელდეს პროცესში პერსონალის და სტუდენტების ჩართულობის დაოქმება და მეტად ფორმალიზება. სტუდენტების ჩართულობა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფში არ არის ფორმალიზებული. აღნიშნული წარმოადგენს პრობლემას, რადგან უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტების წვლილი ნამდვილად იყოს წარმოდგენილი უსდ-ს სტრატეგიულ განვითარებაში. თუმცა, სტუდენტებმა განაცხადეს, რომ უსდ-მ მათ მოსთხოვა გაეზიარებინათ მოსაზრებევბები - კერძოდ, რა მოსწონდათ და რა არ მოსწონდათ. სტუდენტების ჩართულობა აღნიშნულ პროცესშიუზრუნველყოფილია, მაგრამ პროცესი საჭიროებს მეტი ფორმალიზებას. სტრატეგიული გეგმა მოიცავს განვითარების შვიდ წელს, ხოლო სამოქმედო გეგმები სამ წელს, ამავე დროს გეგმები ახლდები ყოველწლიურად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები, გასაუბრებები ვიცე - რექტორებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პერსონალთან, დოქტორანტებთან და სხვა სტუდენტებთან, უნივერსიტეტის ახალ კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები: • სასურველია, სამოქმედო გეგმა მოიცავდეს შესაბამისი აქტივობების დასრულების თარიღებს. • სასურველია, სტრატეგიულ დაგეგმვაში განხორციელდეს პერსონალის და სტუდენტების წვლილის ფორმალიზება, აღრიცხვა და დოკუმენტირება. •
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

1. **2. უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**
2. **უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.**

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრუქტურა აღწერილია ორგანიზაციული სტრუქტურის დოკუმენტში - "საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრუქტურა". უნივერსიტეტი იყენებს მოკლე იერარქიულ ჯაჭვს და მოქნილ ორგანიზაციულ სტრუქტურას სხვადასხვა პროცესების მართვის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მაღალი ეფექტურობის შესანარჩუნებლად. მატერიალურ სახით დოკუმენტებთან ერთად, დაწესებულება იყენებს დოკუმენტაციის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს. უნივერსიტეტის შემადგენელი ინსტიტუტები რეგისტრირებულია და ხორციელდება რეესტრის წარმოება. რექტორი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვაზე და წარმომადგენლობაზე. რექტორს პირდაპირ ექვემდებარება რამდენიმე სტრუქტურული ერთეული, მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ფინანსური ანალიტიკის დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, საგამოცდო ცენტრი,

სამეცნიერო საქმიანობის კოორდინატორი და 21 სპეციალიზებული ინსტიტუტი/ცენტრი და ლაბორატორია. უნივერსიტეტს ჰყავს ორი ვიცე - რექტორი: ვიცე - რექტორი აკადემიური საქმეების და ვიცე - რექტორი პროგრამების განვითარების მიმართულებით, რომლებიც ზოგადად ზედამხედველობენ სასწავლო პროცესს და მხარს უჭერენ სკოლებს სასწავლო პროგრამების განვითარებაში. კანცლერი ზედამხედველობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ - დამხმარე დეპარტამენტებს და სოციალურ - კურიკულუმის გარე აქტივობებს.

გასაუბრებების ფარგლებში უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნება ე.წ. „მოქნილ მიდგომას" მაღალეფექტურია, რაც უზრუნველყოფს დროულ და სწრაფ გადაწყვეტილებების მიღებას. გარდა ამისა, 2023 - 2024 წლების ბიუჯეტის მონაცემებით, ადმინისტრაციული სახელფასო ხარჯები შეადგენს მთლიანი სახელფასო ხარჯების მხოლოდ 22% - ს, რაც საკმაოდ დაბალია საქართველოში მოქმედ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შედარებით.

უნივერსიტეტის ბაზაზე წარმოდგენილია ხუთი სკოლა. თითოეულ სკოლას ჰყავს დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი, რომლებიც მართავენ სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებს. უნივერსიტეტი არ იყენებს „ოფისის სისტემას“ და მისი თანამშრომლები განთავსებულნი არიან ღია სამუშაო სივრცეში, რაც უზრუნველყოფს მეტ ღიაობას, გამჭვირვალობას და იდეების სწრაფ გაცვლას. დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურ განხორციელებასა და მიზნების მიღწევას.

დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და განაწილებული. „სტრუქტურული ერთეულების დებულებები" მოიცავს თითოეული ერთეულის მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში გადაწყვეტილებები მიიღება „პროექტზე დაფუძნებული მართვის“ პრინციპით, სადაც თითოეული მიზნისთვის განისაზღვრება სამიზნეები და იქმნება სამუშაო ჯგუფები. სამუშაო ჯგუფები პასუხისმგებელნი არიან მიზნების დროულად შესრულებაზე. მიზნების მიღწევის შემდგომ, სამუშაო ჯგუფი იშლება. ყოველი ახალი საკითხისთვის იქმნება შესაბამისი სამუშაო ჯგუფი. დაინტერესებულ მხარეებთან და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტრუქტურული ერთეულები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ ეფექტურად და კოორდინირებულად.

დაწესებულების მმართველ ორგანოებში არჩევა / დანიშვნა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. „პერსონალის შერჩევის წესის" დოკუმენტი აღწერს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე, აკადემიურ პოზიციებზე შერჩევის და დანიშვნის პროცედურებს. პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონმდებლობასთან შესაბამისი, რომელიც ეფუძნება კონკურსის პრინციპს. მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებთან, მიიღება დროულად და ეფექტურად, დაწესებულების

ფარგლებში დოკუმენტების დამუშავების რეგულაციები შეესაბამება დადგენილ კანონმდებლობას. უნივერსიტეტი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემას.

დაწესებულებაში მიმდინარე ყველა ძირითადი პროცესის ბიზნეს უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს. ამისათვის შემუშავებულია დეტალური სტრატეგია, რომელიც მოიცავს რისკების გამოვლენას, ზიანის შემცირების გეგმების შემუშავებას და სწრაფი შეტყობინების სისტემის დანერგვას. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინფრასტრუქტურასთან, ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან, ოპერაციულ პროცედურებთან, ტექნოლოგიის უზრუნველყოფასთან, ადამიანურ რესურსებთან და ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებულ რისკებზე. აღნიშნულ სფეროებში ნებისმიერი ხარვეზის გამოსასწორებლად დანერგილია სწრაფი რეაგირების და უწყვეტი მონიტორინგის მექანიზმები.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მხარს უჭერს სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, ერთობლივი პროექტების განვითარებას, საერთაშორისო კვლევით საქმიანობაში მონაწილეობას, ინოვაციურ ცოდნაზე სამეცნიერო კვლევების განხორციელებას, უნივერსიტეტის პერსონალის საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებში აქტიური მონაწილეობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მოზიდვას, სამეცნიერო კვლევების სტიმულირების და ინოვაციური პროექტების განხორციელების მიზნით, უცხოურ უნივერსიტეტებთან და არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას, დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების (ცენტრები, ინსტიტუტები, ლაბორატორიები და ა.შ.) შექმნას, უნივერსიტეტის კვლევასა და სწავლებაში დამოუკიდებელი და დამხმარე კვლევითი ერთეულების (ცენტრები, ინსტიტუტები) ინტეგრაციას, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის, ახალგაზრდა მეცნიერების კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით შიდა გრანტების და კვლევების უნივერსიტეტის დაფინანსების სისტემის შექმნას, უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან პარტნიორობით ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული განვითარების და პროფესიული კვლევითი პროგრამების ხელშეწყობას და განხორციელებას (სტაჟირება, ტრენინგი, ერთობლივი სამეცნიერო კვლევა, სხვადასხვა დისციპლინის ავტორიტეტული მეცნიერების მოწვევა ლექციების და სემინარების ჩასატარებლად და ა.შ.), კვლევის ხარისხის ამაღლებას, სწავლების და კვლევის ინტეგრაციას და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც იცავს კვლევის ეთიკას და ინტერნაციონალიზაციას.

უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს მრავალ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობაში ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში საზღვარგარეთის ზოგიერთ უნივერსიტეტთან. დაწესებულება ქმნის სტუდენტების სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის გარკვეულ შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებულობას დაწესებულების გარეთ განხორციელებული სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების და ღონისძიებების შესახებ. გასაუბრებების დროს

სტუდენტებმა გამოავლინეს გაცვლით აკადემიური პროგრამებში მონაწილეობის დაბალი ინტერესი და მზაობა. ასევე, მათ აღნიშნეს ამ მიმართულებით არსებული მცირე შესაძლებლობები (იხილეთ კომპონენტი 5.2). უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული აქტივობების თანმიმდევრულ განხორციელებას და დაწესებულების საქმიანობაში ინტერნაციონალიზაციის შედეგების ეფექტურ გამოყენებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● თვითშეფასების ანგარიში; ● საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრუქტურა; ● სტრუქტურული ერთეულების დებულებები; ● პერსონალის შერჩევის წესი; ● მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა; ● უნივერსიტეტის მისია; ● სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები; ● ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა; ● ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; ● გასაუბრებები პერსონალის და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის სრული სისტემა, რომლის მიზანია კვლევის, სწავლების და სწავლის გაუმჯობესება და გაძლიერება. აღნიშნული სტრატეგია უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული პირდაპირ და არაპირდაპირ მონაწილეობს ხარისხის განვითარების პროცესებში და კონტროლში. უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზანი შეინარჩუნოს მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურა შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას. აღნიშნული პერსპექტივა აადვილებს სტუდენტებს, სასწავლო სტრატეგიებს და გადაწყვეტილების მიმღებებს შორის მჭიდრო კომუნიკაციას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ეფექტურ და მოქნილ ხარისხის მართვის სისტემას, აღნიშნულ კომპონენტებს შორის მტკიცე კავშირების შენარჩუნებით.

უნივერსიტეტის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების" დოკუმენტი აღწერს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს საერთო მოვალეობას, რომელიც სცდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. უნივერსიტეტის ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული მონაწილეობს ხარისხის მართვაში და მის მუდმივ გაუმჯობესებაში. პროგრამების ხელმძღვანელების, სკოლების დეკანების, სკოლების კოორდინატორების და სხვა მნიშვნელოვანი პოზიციების მოვალეობები მჭიდროდ უკავშირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობებს. აღნიშნული ერთეულები თანამშრომლობენ განხორციელების, პრევენციული და რეაგირების სტრატეგიების შემუშავებაში, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების კოორდინირებასა და პრობლემების გამოვლენაში. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის და მისი რესურსების უწყვეტ შეფასებას და განვითარებას.

ყველა დაინტერესებული მხარე აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროგრამების მუდმივ გაუმჯობესებაში. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების რელევანტურობას, თანამედროვეობას და დარგის ნორმებთან და მოლოდინებთან შესაბამისობას. აკადემიური პერსონალის განვითარების მენეჯერის ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში უზრუნველყოფს, რომ აკადემიური პერსონალი მუდმივად ავითარებს სწავლების უნარებს, მიყვება თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციებთან და = წვლილი შეაქვს დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმები და მიღებული შედეგები გამოყენებულია სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტების აკადემიური მიღწევების მონიტორინგს, რაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია განათლების საერთო ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულება იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს და მეთოდებს სტუდენტების მოსწრების მონიტორინგისა და შეფასებისთვის, აანალიზებს მონაცემებს სასწავლო პროცესში გასაუმჯობესებელი მხარეების

იდენტიფიცირებისთვის. აღნიშნული უკუკავშირის უწყვეტი ციკლი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტება მიიღონ კარგი განათლება.

გაწეული მომსახურების ეფექტურობის შესაფასებლად, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და იყენებს სხვადასხვა გამოკითხვებს. აღნიშნული გამოკითხვების ფარგლებში გროვდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, რაც იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას უნივერსიტეტის საქმიანობის და მომსახურების შესახებ. უსდ აანალიზებს უკუკავშირის შედეგებს და იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს შესაძლო ცვლილებების და გაუმჯობესების შესახებ.

დაწესებულების ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებებს იღებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების საფუძველზე. შეფასების შედეგები გამოიყენება აქტივობების შემდგომი განვითარების მიზნით. . თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობა უფრო ფორმალიზებული უნდა იყოს (დეტალური ანგარიშგება), რაც გულისხმობს გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენის, გამოვლენილი სუსტი მხარეების ანალიზის და შესაბამისი ქმედებების და გზების ანალიზს და აღწერას. ეს მიდგომა აჩვენებს სრულ სურათს თუ რა უნდა გაუმჯობესდეს და მნიშვნელოვანია ხელმძღვანელობისთვის ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად. ნათელია, რომ ხარისხის უზრუნველყოფა ეფეტურად ხორციელდება დეპარტამენტებს შორის და შიგნით არაფორმალური კომუნიკაციის საშუალებით. თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშები არ არის ფორმალურად წარდგენილი. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშების ფორმალიზება, რაც ნათლად წარმოაჩენდა როგორ და ვის მიერ ვლინდება პრობლემა, როგორ და ვის მიერ ხდება ცვლილების განხორციელება და როგორ და რამდენად განხორციელებული ცვლილება პრობლემის მოსაგვარებლად. ჩანაწერების ფორმალიზება უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, აღწერს თუ როგორ და ვის მიერ ხდება გადაწყვეტილებების მიღება. აღნიშნული ასევე ხელს შეუწყობს მომავალში მსგავსი პრობლემების ან საკითხების პრევენციას. გარდა ამისა, ვიზიტის განმავლობაში არაერთხელ აღინიშნა, რომ კომუნიკაცია ხელმღვანელობას და სტუდენტებს შორის, ასევე, ყველა რგოლის პერსონალთან (როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული) იყო მარტივი, კომფორტული და პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული. ეს აღსანიშნია, თუმცაკომუნიკაცია არ იყო დოკუმენტირებული. სასურველია, დაინერგოს აღნიშნული მიდგომა, საკმარისი იქნება მოკლე ჩანაწერის გაკეთება, რომელიც დეტალურად აღწერს პრობლემას, მის გადაწყვეტის გზებსდა შეინახება მენეჯმენტის მიერ.

უნივერსიტეტს შემუშავებული და დანერგილი აქვს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების სისტემა. ლექტორები ფასდებიან ყოველ სემესტრში მენეჯმენტის მიერ, შეფასება მოიცავს ლექტორის მიერ სტუდენტების შეფასების ქულების მიმოხილვას. აღნიშნულის შესახებ ლექტორები იღებენ უკუკავშირს. პერსონალმა დაადასტურა, რომ არსებობს მათი შეფასების სისტემა. სტუდენტებმა ასევე დაადასტურეს, რომ გამოკითხვების საშუალებით აფასებენ თითოეულ კურსს და ლექტორს. მათ ასევე დაასახელეს თუ რა ცვლილებები განხორციელდა მათი ოსაზრებების მენეჯმენტისთვის გაზიარების საფუძველზე, , რაც

მოიცავდა ვეტერინარულ კლინიკაში მეტი პრაქტიკული მეცადინეობის დამატებას და ეს უკვე შესრულებულია. აღნიშნული მიდგომა შექმნილია პერსონალის საქმიანობის რეგულარული შეფასებისთვის, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ უნივერსიტეტის მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილებას. თუმცა, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება არ არის ნათელი და ძირითადად ხორციელდება დეპარტამენტების ხელმძღვანელების, აკადემიური პერსონალის და რექტორატის მიერ. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია დაწესებულების მიერ პერსონალისთვის და მათ მიერ შესრულებული საქმიანობისთვის განსაზღვრული შიდა სამიზნე ნიშნულები, რაც მიმართულია დაწესებულების საქმიანობის ეფექტურად სამართავად. გარდა ამისა, ყოვლისმომცველი ინსტიტუციური მიზნები და მისწრაფებები ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ რთულია ცალკეული ერთეულებისთვის და პოზიციებისთვის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ინდიკატორების მისადაგება მათი წარმატების და სრულყოფილების გასაზომად. სხვადასხვა ჯგუფებთან გასაუბრებებმა გამოავლინა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მკაფიო შეფასების მექანიზმის საჭიროება, რომელიც დაფუძნებული იქნება ინდიკატორებზე, სამიზნე ნიშნულებზე და მათი შესრულების ინდიკატორებზე, უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტი რეგულარულად ამოწმებს თავისი სერვისების და რესურსების ხარისხს, და იყენებს შედეგებს უწყვეტი განვითარებისთვის. ამ მიმართულებით რეგულარული აუდიტი უზრუნველყოფს, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საქმიანობა და სერვისები ეფექტური და ქმედითია. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება "სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები" დოკუმენტში განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს უნივერსიტეტის რესურსებს, როგორიცაა სივრცე, აკადემიური პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამები და ა.შ., და დაწესებულების მიერ დამტკიცებულ შესაბამის ინდიკატორებს და სამიზნე ნიშნულებს. აღნიშნული შეესაბამება მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში სტუდენტების რაოდენობის პროგნოზს. დადასტურდა, რომ შეფასებები ხელს უწყობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღებას და აღნიშნული შეფასებების საფუძველზე შემდგომ გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● თვითშეფასების ანგარიში; ● ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ● გამოკითხვის ფორმები; ● სემესტრული შეფასების ანგარიში; ● მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;

- სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები;

გასაუბრებები პერსონალის და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფებთან, მათ შორის პროგრამების ხელმძღვანელებთან (ორივე ჯგუფიდან), აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, შემუშავდეს მკაფიო და ეფექტური პროცედურები ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შესაფასებლად.

რჩევები:

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის საერთო მიზანს წარმოადგენდეს ხარისხის კულტურის დამკვიდრება (რაც გულისხმობს ხარისხის პასუხისმგებლობების მეტ ფორმალიზებას, ასევე მრავალმხრივი შეფასებების გამოყენებას).
- სასურველია, პერსონალის შეფასება განხორციელდეს სტანდარტების მიხედვით, მკაფიო ნიშნულების და ძირითადი შესრულების ინდიკატორების გამოყენებით.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის შემუშავებული აქვს ეთიკის და ქცევის კოდექსები და განსაზღვრული აქვს აღნიშნული რეგულაციების დარღვევაზე რეაგირების პროცედურები. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს რეგულაციები, მათ შორის წესდება, თანამშრომელთა ქცევის კოდექსი, აკადემიური პერსონალის ეთიკის კოდექსი, დისციპლინური საბჭო და დისციპლინური საბჭოს დებულება, სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, ეთიკის საბჭოს დებულება, გამოცდების ჩატარების და შეფასების წესები.

აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.agruni.edu.ge), რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. მკაფიო ნორმების და პროცედურების დადგენით, დაწესებულება აყალიბებს ეთიკური ქცევის საფუძველს და საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს დისციპლინური ზომების განხილვას, საუნივერსიტეტო საქმიანობის ყველა მიმართულებით კეთილსინდისიერების შესანარჩუნებლად.

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს მკაფიო წესები პლაგიატის და აკადემიური გადაცდომის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული მოიცავს მკაცრ საგამოცდო ზედამხედველობას, საგამოცდო ცენტრის განახლებას და გაუმჯობესებას და სტუდენტებისთვის სავალდებულო აკადემიური წერის ტრენინგების ჩატარებას. პრევენციაზე ორიენტირებით, შესაბამისი მონიტორინგით და ინსტრუქციებით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიურ კეთილსინდისიერებას და სამართლიან შეფასებას. უნივერსიტეტის რეგულაციები განსაზღვრავენ პლაგიატის შემთხვევაში სათანადო რეაგირების მექანიზმებს. თუმცა, უნივერსიტეტი არ იყენებს პლაგიატის გამოვლენის პლატფორმას, რაც დამატებით ტვირთს წარმოადგენს ხელმძღვანელებისთვის და რეცენზენტებისთვის და ზოგჯერ შეუძლებელს ხდის ადამიანის მიერ გადაცდომის ნებისმიერი საკითხის გამოვლენას.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აღიარებს აკადემიურ თავისუფლებას, რაც მოიცავს სინდისის და არჩევანის თავისუფლებას. აკადემიურ პერსონალს აქვს ავტონომია სწავლებასა და კვლევაში, ჩართულნი არიან სასწავლო პროგრამების შემუშავებაში და იღებენ დაფინანსებას პროფესიული განვითარებისთვის და კვლევითი საქმიანობისთვის. აღნიშნული ვალდებულება ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ინტელექტუალურ ცნობისმოყვარეობას და ინოვაციას, რაც მნიშვნელოვანია ცოდნის და განათლების განვითარებისთვის. უნივერსიტეტის საზოგადოება (პერსონალი და სტუდენტები) იცნობს და იზიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

დოქტორანტებს არ დაუფიქსირებიათ პრობლემები კვლევითი ნაშრომების თანაავტორობასთან დაკავშირებით,რაც ძალიან კარგია. მათ აღნიშნეს, რომ აქამდე ისინი როგორც წესი ყოველთვის იყვნენ პირველი ავტორები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- წესდება;
- თანამშრომელთა ქცევის კოდექსი;
- აკადემიური პერსონალის ეთიკის კოდექსი;
- დისციპლინური საბჭოს დებულება;
- სტუდენტების ეთიკის კოდექსი;
- ეთიკის საბჭოს დებულება;
- გამოცდების ჩატარების და შეფასების წესი;
- გასაუბრებები პერსონალის და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფებთან.

რეკომენდაციები:
რჩევები: სასურველია, გამოყენებული იყოს მსგავსების / პლაგიატის აღმოჩენის პლატფორმა, აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოსავლენად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და ხედვას. ამჟამად, უნივერსიტეტში ხორციელდება 23 საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც აკრედიტებულია, მათ შორის 11 საბაკალავრო, 4 სამაგისტრო, 6 სადოქტორო პროგრამა, ასევე 1 ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (მედიცინის გარდა) და 1 ვეტერინარიის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი). საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს აქვს 5 სკოლა, რომლებიც ახორციელებენ 23 საგანმანათლებლო პროგრამას სწავლების ყველა საფეხურზე. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს "საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია".

აღნიშნული მეთოდოლოგია აღწერს სასწავლო გეგმის სტრუქტურას, სემესტრულ გეგმას, პროგრამას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას და საგანმანათლებლო პროგრამების განახლების მექანიზმებს და პროცედურას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები პროგრამის შეცვლის / გაუქმების შემთხვევაში, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას ეფექტურად დაასრულოს პროგრამა.

წესი ასევე მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებს. პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე და შემდგომი განხორციელების პერიოდში დაწესებულება იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიებს. პროგრამები ძირითადად შემუშავებულია საერთაშორისო ანალოგების საფუძველზე.

უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროცესის სამართავად სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის შემუშავებული აქვს ელექტრონული Cloud პლატფორმა. ელექტრონული პლატფორმა მოიცავს სტუდენტების და უნივერსიტეტის პერსონალის მონაცემთა ბაზებს, ასევე, ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი კომპონენტების და სხვა საგანმანათლებლო რესურსების შესახებ. აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ აკადემიური რეგისტრაცია და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით მიიღონ სხვადასხვა ინფორმაცია. პროფესორებს და ადმინისტრაციას აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის მართვაში. აღნიშნული პლატფორმის გამოყენებით ხორციელდება სტუდენტთა გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი. ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ მათი მოთხოვნის შესაბამისად შეიცვალა განრიგები (დაემატა საღამოს ლექციების, რაც მათ საშუალებას აძლევს უფრო იოლად იმუშაონ სწავლის დასაფინანსებლად), ხოლო სხვებისთვის არა. შესაძლოა კარგი იდეა იყოს აღნიშნული მიდგომის ფორმალიზება, იმისათვის, რომ ასეთი შედეგები თანაბარი იყოს დეპარტამენტებს შორის.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტთან ერთად ახორციელებს ერთობლივ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს STEM სფეროებში. მაგალითად, ბიოლოგიის მაგისტრანტებს შესაძლებლობა აქვთ გაიღრმავონ ცოდნა ქიმიის სამაგისტრო პროგრამიდან აღებული კურსებით, რაც დაკავშირებულია მათ კვლევებთან და პირიქით, ქიმიის მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან აღებული კურსებით, რაც დაკავშირებულია მათ კვლევებთან.

უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ დაფინანსება კონკურენტული ინოვაციური ფონდებიდან, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან, Horizon 2020 - დან, STCU - დან, ISTCU - დან და სხვა საგრანტო პროექტებიდან. აღნიშნული პროექტები გამოიყენება პროგრამების განვითარებისთვის, სამეცნიერო - კვლევითი ლაბორატორიების დასაფუძნებლად, ტექნიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის და ა.შ. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს Erasmus+ საგრანტო პროექტებში, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო გეგმაში ახალი კურსების დანერგვას და სხვადასხვა უნარების განვითარებას როგორც პროფესორებისთვის, ისე სტუდენტებისთვის. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების და მათი გაუქმების რეგულაციები და პროცედურები. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტს აქვს მექანიზმი პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრაციის მიზნით, როგორც საერთაშორისო პროექტების, ისე ადგილობრივი ბიზნესების შესაძლებლობების გამოყენებით. აღნიშნულ პროცესებში ჩართულნი არიან სტუდენტები და დაინტერესებული მხარეები. მიუხედავად იმისა, რომ აგრარულ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს "საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია", სასურველია, აღნიშნულ მეთოდოლოგიაში შეტანილი იყოს უფრო დეტალური ინფორმაცია პროგრამების შეცვლის ან გაუქმების პროცედურების შესახებ. კერძოდ, პროგრამების გაუქმების გადაწყვეტილების მიღებისას, უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორიც არის შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, სტუდენტთა მოსწრების მონიტორინგი, კონსულტაციები პროფესიულ ასოციაციებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საუკეთესო პრაქტიკა როგორც ადგილობრივად, ისე საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული საქმიანობა მნიშვნელოვანია სტუდენტების ინტერესების დასაცავად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● თვითშეფასების ანგარიში; ● საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები; ● საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია; ● გასაუბრებები პერსონალის და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფებთან (შეხვედრა ვიცე - რექტორებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და ადმინისტრატორებთან, დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან, მოქმედ სტუდენტებთან, დოქტორანტებთან, დამსაქმებლებთან, ახალ კურსდამთავრებულებთან); ● შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშები; ● პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

რეკომენდაციები:

რჩევები:

სასურველია, "საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიაში", წარმოდგენილი იყოს უფრო დეტალური ინფორმაცია პროგრამების შეცვლის ან გაუქმების პროცედურის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტთან ერთად ახორციელებს ერთობლივ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს STEM - ის (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა) სფეროებში. დაწესებულებებს, დეპარტამენტებს, ინსტიტუტებს და სტუდენტებს შორის აღნიშნული კავშირი წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის შემუშავებისას საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ითვალისწინებს კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ძირითად პრინციპებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის რეგულაციებს. პროგრამების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების დონეზე მისანიჭებელ კვალიფიკაციებს. კონკრეტული სფეროს სწავლის შედეგები ეფუძნება დეტალური სფეროს აღმწერებს და შემუშავებულია კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

ვეტერინარიის და ვეტერინარიის მომზადების პროგრამები შედგენილია ევროპული დირექტივის 2005/36/EU (შესწორებული 2013/55/EU) მოთხოვნების, ასევე ვეტერინარული

განათლების დაწესებულებების ევროპული ასოციაციის (EAEVE) სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც თანხვედრაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ უმაღლესი ვეტერინარული განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 03.01 - ის №09 ბრძანება) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69 / ნ ბრძანებასთან "კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი დამტკიცების შესახებ".

უნივერსიტეტი ასევე წარმატებით ახორციელებს ვეტერინარების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, სადაც სწავლა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც ფლობს ვეტერინარულ მეცნიერებებში ბაკალავრის ხარისხს. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და განკუთვნილია სულ მცირე ერთი აკადემიური წლისთვის. ვეტერინარული მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ვეტერინარის სერტიფიკატი, რომელიც იძლევა ვეტერინარიის სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას. აღნიშნული პროგრამა ასევე სრულად შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვეტერინარული მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის 2018 წელს დამტკიცებულ "უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს" .

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მისი კომპონენტების ლოგიკურ კავშირს და ითვალისწინებს თითოეული კომპონენტის თავისებურებებს და მოთხოვნებს. დაგეგმილი სწავლის შედეგები და სტუდენტის დატვირთვა ეფუძნება პრინციპს, რომ საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტმა გონივრულ ვადაში უნდა მიაღწიოს პროგრამით განსაზღვრულ შედეგებს, რაც დასტურდება სტუდენტის აკადემიური მოსწრების ანალიზით. პროგრამებში კომპონენტების მოცულობა განისაზღვრება მათი შინაარსის, სწავლის შედეგების და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სწავლება - სწავლის მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკურ მახასიათებლებს, მითითებულ დროში პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. საგანმანათლებლო პროგრამები ისეთ სფეროებში, როგორიცაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, ვეტერინარია, ინჟინერია და ა.შ., შემუშავებულია დარგის შესაბამისი მახასიათებლების და მოთხოვნების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტი ახორციელებს 23 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებიც აკრედიტებულია. ძირითადი და დამატებითი პროგრამების გარდა, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს არჩევით კურსებს (emis.campus.edu.ge). საბაკალავრო პროგრამები აგებულია შემდეგი კომპონენტების კომბინაციით: ზოგადი საუნივერსიტეტო განათლება,

ზოგადი განათლება, განათლება რომელიც მიმართულია საფუძვლების ჩამოყალიბებაზე, პრაქტიკული განათლება, ძირითადი განათლება და არჩევითი კურსები. არჩეული კურსების შესახებ მითითებების მისაღებად სტუდენტებს შეუძლიათ კონსულტაციისთვის მიმართონ სკოლის დეკანატს და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კოორდინატორებს. როგორც გამოკითხვებიდან გამოიკვეთა, სასურველია ბიოინფორმატიკის სფეროში გაძლიერდეს სასწავლო გეგმა კრედიტების დამატებით, ახალი კურსების შემოღებით და ა.შ.

სხვადასხვა პროგრამაში აღწერილი სწავლება - სწავლის მეთოდები ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო სისტემის მიხედვით, თითოეულ სტუდენტს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციაზე წვდომას. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირებას. კატალოგის განახლება ხორციელდება პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის და გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე (www.agruni.edu.ge).

როგორც ჩატარებული გასაუბრებებიდან და წარმოდგენილი მასალებიდან გამოიკვეთა, პერსონალიზებული საგანმანათლებლო პროგრამები სხვადასხვა მოთხოვნის მქონე სტუდენტებს სთავაზობს სწავლების - სწავლის და შეფასების შესაბამის ფორმებს და პირობებს. აღნიშნული მოიცავს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, აკადემიური მომზადების სხვადასხვა დონეს, ასევე ადაპტირებულ გარემოს და შესაბამისი ადამიანური რესურსების შესაძლებლობებს, სადაც საჭიროა. უნივერსიტეტი აღიარებს სტუდენტთა მრავალფეროვნებას და მოწოდებულია უზრუნველყოს მოქნილი და ადაპტირებული საგანმანათლებლო გარემო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- გასაუბრებები პერსონალის და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფებთან. (შეხვედრა ვიცე - რექტორებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, სტუდენტების დეკანთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, მათ შორის მოქმედ და ახალ კურსდამთავრებულ დოქტორანტებთან).

რეკომენდაციები:

რჩევები:

სასურველია, გაძლიერდეს სასწავლო გეგმა ბიოინფორმატიკის სფეროში კრედიტების დამატებით, ახალი კურსების ჩართვით და ა.შ.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის გაზომვადი, რეალისტურად მიღწევადი და შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69 / ნ ბრძანებას.

პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავებულია პროფესორების, მოწვეული ლექტორების, დარგის ექსპერტების, დამსაქმებლების და სტუდენტების ჩართულობით, რაც შეესაბამება დარგის და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. შესაბამისი ფორმები, კომპონენტები და მეთოდები განსაზღვრავს, თუ როგორ აღწევენ სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად შექმნილია სპეციფიკური სასწავლო კურსები. კურსის შედეგები დეტალურად არის აღწერილი კურსების სილაბუსებში და თითოეული შედეგისთვის შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი.

შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს შეფასების შუალედურ და ფინალურ ფორმებს. შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: წერითი გამოცდა, ზეპირი გამოცდა, საკონტროლო ტესტი, ესე, რეფერატი, პრაქტიკული სამუშაო, ლაბორატორიული სამუშაო, პროექტი და ა.შ შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების მიხედვით.

უნივერსიტეტში ცოდნის შემოწმება ხორციელდება სხვადასხვა გზით: წერითი გამოცდა, ზეპირი გამოცდა, პროექტის პრეზენტაცია პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოებით და ა.შ. გამოცდების უმეტესობა ტარდება საგამოცდო ცენტრში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი სწავლა ფასედება სამართლიანად და არც ძალიან რთულია და არც ძალიან მარტივი. მათ ასევე აღნიშნეს, რომ შეფასებები არ არის ზედმეტად რთულად შესასრულებელი საჭირო დროის თვალსაზრისით.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის და მასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ. პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების შეფასების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდებზე (www.agruni.edu.ge, emis.campus.edu.ge) და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით გათვალისწინებულ დოკუმენტებში: (ა) კერძოდ, საგანმანათლებლო კომპონენტები (სტუდენტის შედეგები, კურსის სწავლის შედეგები) ფასდება საგანმანათლებლო პროგრამებში, სილაბუსებში და უნივერსიტეტის "სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში", (ბ) სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტები ფასდება სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესების შესაბამისად. თუმცა, უკეთესი ხელმისაწვდომობისთვის, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამებს დაერთოს სწავლის შედეგების რუკა.

უნივერსიტეტს მიღებული აქვს შემდეგი წესები: "საბაკალავრო პროგრამების და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დებულება" და "სამაგისტრო პროგრამების დებულება", რომლებიც აფასებენ საბაკალავრო, ვეტერინარული და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. აღნიშნული წესები ასევე ეხმარება სტუდენტებს ეფექტურად დაგეგმონ თავიანთი დრო, შეაფასონ რესურსები და ა.შ.

უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს "სადოქტორო პროგრამების და სადისერტაციო საბჭოების დებულება", რომელიც განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამების საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტების შეფასებას და მათი შეფასების წესებს. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სწავლების და კვლევის კომპონენტების შეფასებას, ასევე უნარების განვითარების შეფასებას ეფექტური დროის დაგეგმვაში, აკადემიური რესურსების რაციონალურ გამოყენებას და აკადემიური და კვლევითი საქმიანობის ოპტიმიზაციას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტების შედეგების შეფასების ელექტრონული სისტემა.
დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს შეფასების გასაჩივრების სისტემა, რომელიც გაწერილია "საბაკალავრო პროგრამების და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დებულების" მე-7 მუხლში (აკადემიური მოსწრების შეფასება და გამოთვლა). სტუდენტების ინფორმირების მიზნით, დაწესებულება უზრუნველყოფს ინფორმაციის

გავრცელებას მიღწეული მიზნების, ნაკლოვანებების და გაუმჯობესების გზების შესახებ "EMIS" - ის კომპიუტერული პორტალის მეშვეობით.
მტკიცებულება/ინდიკატორები კომპონენტის მტკიცებულება/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუბრებების შედეგები და ა.შ. • საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია; • საბაკალავრო პროგრამების და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დებულება; • სამაგისტრო პროგრამების დებულება; • სადოქტორო პროგრამების და სადისერტაციო საბჭოების დებულებები; • შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშები; • პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ანგარიშები; • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; • გასაუბრებები სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები: სასურველია, უკეთესი ხელმისაწვდომობისთვის, საგანმანათლებლო პროგრამას დაერთოს სწავლის შედეგების რუკა.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ უჯრედი, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს დაწესებულების შესაბამისობას სტანდარტის მოცემული კომპონენტთან ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4. **უსდ-ის პერსონალი**

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და

ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში პერსონალის მართვის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია უნივერსიტეტის წესდებასა და შრომითი ურთიერთობების შიდა რეგულაციებში. უნივერსიტეტის წესდების თანახმად, უნივერსიტეტის ადამიანური რესურსები მოიცავს აკადემიურ, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და მხარდამჭერ პერსონალს, რომელთა საქმიანობას უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები არეგულირებს. პროფესიული შრომითი ურთიერთობები უნივერსიტეტში რეგულირდება ხელმოწერილი შრომითი ხელშეკრულებებით (ასევე მათი დანართებით). საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობები რეგულირდება უნივერსიტეტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (მათ შორის მისი დანართების) საფუძველზე. შრომითი რეგულაციების მე-2 მუხლის (უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვა) მიხედვით, აკადემიური, ადმინისტრაციული, სამეცნიერო, დამხმარე პერსონალისა და სტუდენტების დასაქმება ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. აკადემიური პერსონალის ანაზღაურება ფიქსირებული არ არის და თითოეულ შემთხვევაში განისაზღვრება ინდივიდუალურად, რექტორთან შეთანხმებით. პერსონალის თქმით, ისინი აფასებენ უნივერსიტეტში არსებული ბიუროკრატიის სიმარტივეს, რაც მათ საშუალებას აძლევს მარტივი კომუნიკაცია ჰქონდეთ მმართველ რგოლთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. ისინი მოხარულები არიან იმ ფაქტით, რომ მათი მოსაზრებები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის მართვის პროცესში. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევის წესები, რომელიც განსაზღვრავს კადრების რეკრუტირების ძირითად პრინციპებს, აკადემიური თანამდებობების დაკავების პირობებს, კონკურსის კომისიის მუშაობას, კონკურსის გამოცხადების პირობებსა და ეტაპებს, მოწვეული ლექტორების შერჩევის კრიტერიუმებსა (მათ შორის, საცდელი ლექციის ჩატარებას) და ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის დანიშვნის წესებს. შესაბამისად, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციები უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის დასაქმებას აკადემიურ, დამხმარე, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პოზიციებზე. დაწესებულებას ასევე დადგენილი აქვს აკადემიური პერსონალის აფილირების წესები და პირობები. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში არსებული 90 აკადემიური

პერსონალიდან 82 აფილირებულია. უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, აკადემიური/სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი, უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისად, მონაწილეობს უნივერსიტეტის მიერ შექმნილ კოლეგიალურ ორგანოებში, სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში.

გარდა ამისა, აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს მათ აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. თუმცა, პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ აჩვენა, რომ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი აქტიურად ჩართული არ არის უნივერსიტეტის კოლეგიალურ ორგანოებში. სტანდარტის თანახმად, უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში პერსონალის ჩართულობის პრინციპები. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას როგორც შეთანხმებებს, რომლებიც ამ პრინციპებს ადგენს, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალის დადასტურებას რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, პერსონალის თქმით, მათ ხშირი კომუნიკაცია აქვთ უნივერსიტეტის რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და მათ ეძლევათ შესაძლებლობა, გააზიარონ თავიანთი შეხედულებები და მოსაზრებები უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ.

უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები. სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სქემა მოიცავს რვა კომპონენტს:

- ცოდნის ფონდისა და უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი დაფინანსება
- მეცნიერების მიერ ყოველწლიურად მიღებული გრანტების მოცულობა და რაოდენობა
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და სივრცის გამოყენება
- Impact Factor-ის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა და რეიტინგი
- ციტირების ინდექსი (არსებობის შემთხვევაში)
- გამოქვეყნებული წიგნები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები
- სასწავლო პროცესში ჩართულობა (წლიური აკადემიური დატვირთვა, საათების რაოდენობა)
- დოქტორანტების ხელმძღვანელობა წლის განმავლობაში და დაცული დისერტაციების რაოდენობა

თითოეული კომპონენტი ფასდება შეფასების 100-ქულიანი სისტემით, ხოლო საბოლოო ქულა ყველა კრიტერიუმის ჯამით განისაზღვრება. კვლევითი აქტივობების შეფასების შედეგების მონიტორინგს ახორციელებს სამეცნიერო საქმიანობის კოორდინატორი რექტორთან თანამშრომლობით. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება პროფესიული განვითარების აქტივობები.

აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების სქემა მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პედაგოგიური უნარები
- კურსის მართვა

- პროფესიული/სამეცნიერო საქმიანობა

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 5-ქულიანი სისტემით, ხოლო საბოლოო ქულა გამოითვლება არითმეტიკული საშუალოს საფუძველზე. შედეგების მიხედვით იგეგმება პროფესიული განვითარების ღონისძიებები. ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის ხელშესაწყობად ტარდება შეხვედრები, რომლებიც მოიცავს: სილაბუსისა და შეფასების სისტემების მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას, სწავლება-სწავლის სტრატეგიების დახვეწასა და გაუმჯობესებას, თანამედროვე სასწავლო მეთოდებისა და ტექნიკების გაცნობას, ელექტრონული მართვის სისტემის ეფექტურ გამოყენებასა და კარგად სტრუქტურირებული განრიგის შექმნას.

აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ აჩვენა, რომ მათ არ აწვდიან ინფორმაციას მათი შეფასების შედეგების შესახებ. თუმცა, მათ აღნიშნეს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის მექანიზმები. ეს მოიცავს მათი სასწავლო დატვირთვის შეცვლას იმ სემესტრებში, როდესაც ისინი სამეცნიერო კვლევას ატარებენ (ძირითადად საზღვარგარეთ) ან საჭიროების შემთხვევაში განრიგის გადახედვას. თუ აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგი მინიმალურ ზღვარს ვერ აკმაყოფილებს, პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა, აღმოფხვრას გამოვლენილი ხარვეზები და ამისთვის შესაბამისი დრო განისაზღვრება.

გარდა ამისა, მათი ხელფასის ფიქსირებული ნაწილი შენარჩუნებულია, რაც მათ შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ პროფესიული განვითარებისათვის გამოიყენონ. აკადემიურ პერსონალს ასევე აქვს შესაძლებლობა, დაფინანსებისთვის განაცხადი შეიტანოს დამფუძნებელ ორგანიზაციაში, ცოდნის ფონდში სამეცნიერო საქმიანობის (მაგალითად, სტატიის გამოქვეყნების) დასაფინანსებლად. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი გეგმავს მათი განვითარების აქტივობებსა და შესაბამის მექანიზმებს.

სასურველია, აკადემიურ, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და მხარდამჭერ პერსონალს მიეწოდოს უკუკავშირი მათი შეფასების შედეგებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. გარდა ამისა, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია, მათი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები, შესაბამისი სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესების გამარტივებული პროცესები ექსპერტთა ჯგუფის მიერ საუკეთესო პრაქტიკად არის აღიარებული.

უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევებს. 2023–2024 წლების პერსონალის მოსაზრებების კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ პერსონალი კმაყოფილია საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მუშაობით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობას თითოეულ პროგრამაზე. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა ადმინისტრაციული და მხარდამჭერი პერსონალის

სრულ რაოდენობასთან 1.56:1-ს შეადგენს. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა საერთო რაოდენობასთან არის 1:6.5. ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან 1:19-ს შეადგენს. აფილირებული პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა 1:23.2-ია. ხოლო აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან 12.74:1-ს შეადგენს. თვითშეფასების ანგარიში შეესაბამება აღნიშნულ მეთოდოლოგიას და წარმოადგენს პერსონალთან დაკავშირებულ სხვადასხვა მაჩვენებელს, მათ შორის სამიზნე ინდიკატორებს. რაც შეეხება მეოთხე სტანდარტს, ინსტიტუციამ გასაუმჯობესებელ მხარედ მიიჩნია აკადემიური პერსონალის შენარჩუნების დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლის შენარჩუნება. აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მიმდინარე მაჩვენებელი 89%-ს შეადგენს, ხოლო 2031 წლისთვის მიზნობრივი მაჩვენებელი 85%-ია. თუმცა, რეკომენდებულია აღნიშნული შეუსაბამობის გასწორება. ასევე, აუცილებელია, რომ 2031 წლისთვის განისაზღვროს სამიზნე ინდიკატორები პერსონალის საქმიანობისთვის, მათ შორის კვლევითი აქტივობებისთვის.
დოქტორანტები ასევე ჩართულები არიან სასწავლო პროცესში.
საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პერსონალის, მათ შორის ადმინისტრაციული და მხარდამჭერი პერსონალის, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაოს აღწერები. რეგულაციების შესაბამისად, კვალიფიკაციასთან და გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნების ჩამონათვალი შემუშავებულია თითოეული პოზიციის სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვანია კანდიდატების სრულყოფილი შეფასებისათვის. პერსონალის CV-ების მიმოხილვამ და გასაუბრებამ დაადასტურა, რომ პერსონალი აკმაყოფილებს განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წესდება
- შიდა შრომითი რეგულაციები
- პერსონალის საქმიანობისა და პროფესიული განვითარების შეფასების მექანიზმები
- პერსონალის შერჩევის წესი;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი
- პერსონალის CV-ები;
- ხელშეკრულებების ფორმები;
- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრება დეკანთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რომ 2031 წლისთვის განისაზღვროს აკადემიური პერსონალის საქმიანობის, მათ შორის კვლევასთან დაკავშირებული აქტივობების სამიზნე ინდიკატორები.

რჩევები:

.

- სასურველია, უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა უნივერსიტეტის კოლეგიალურ ორგანოებში და ხელი შეეწყოს მათ უფრო

აქტიურ მონაწილეობას უნივერსიტეტის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. • სასურველია, აკადემიურმა, სამეცნიერო, ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა მიიღოს უკუკავშირი თავიანთი შეფასების შედეგების შესახებ და გამოავლინონ გასაუმჯობესებელი სფეროები. • სასურველია, აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებლის გამოვლენილი გასაუმჯობესებელი სფერო შეფასდეს ხელახლა და სამიზნე ნიშნული შეესაბამებოდეს მოთხოვნებს. •
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • მაღალკვალიფიციური, მოტივირებული და დაინტერესებული პერსონალი და მათი მხარდაჭერის კარგი მექანიზმები. •
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა
უსდ - ის აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ - ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო - კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს (რომელთაც ძირითადად, ბიზნესისა და საჯარო სფეროში პროფესიული გამოცდილების გამო იწვევენ და შესაძლოა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებიც იყვნენ) აქვს დატვირთვის სემესტრულად განახლებადი სქემა, რომელიც სწავლების კომპონენტებს მოიცავს. აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის ინდიკატორები განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში საერთო დატვირთვის მოცულობასა და ყოველკვირეულ საათებს. აღნიშნული სქემა ითვალისწინებს პერსონალის დატვირთვას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. აკადემიურ/სამეცნიერო და ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ითვალისწინებს 40-საათიან სამუშაო კვირას. სწავლების გარდა, წელიწადში საშუალოდ 956 საათი გამოიყოფა სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისათვის. უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება წარმოდგენილი ანგარიშებისა და სამეცნიერო მონაცემთა ბაზებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე. თუმცა, სასურველია, უფრო დეტალური

დოკუმენტაციის წარმოდგენა კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილი საათების შესრულების დასადასტურებლად. რაც შეეხება მოწვეულ პერსონალს, მათთვის ფიქსირებული ანაზღაურების განაკვეთი არ არსებობს და იგი საჭიროებისა და მოწვეული პერსონალის გამოცდილების შესაბამისად განისაზღვრება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობას თითოეული პროგრამისთვის. აღნიშნული მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის შინაარსს. კერძოდ, უფრო თეორიაზეა ორიენტირებული თუ პრაქტიკაზე. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ადგილობრივ ბაზარზე მაღალკვალიფიციური პერსონალის ხელმისაწვდომობაც. შედეგად, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი იყენებს ხუთ სტრატეგიას აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისათვის: 1. თეორიაზე ორიენტირებული საბაკალავრო პროგრამები 2. პრაქტიკაზე ორიენტირებული საბაკალავრო პროგრამები 3. თეორიაზე ორიენტირებული სამაგისტრო პროგრამები 4. პრაქტიკაზე ორიენტირებული სამაგისტრო პროგრამები 5. სადოქტორო პროგრამები თითოეული მიდგომა განსაზღვრავს პროფესორების, სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების რაოდენობრივ პროპორციებს. უნივერსიტეტი ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკას, განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის, კერძოდ, სხვადასხვა სექტორში დასაქმებული პროფესიონალების რაოდენობის გაზრდით. მათი ჩართვა სასწავლო პროცესში ავითარებს პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ხელს უწყობს პროგრამის განვითარებასა და სწავლების სტრატეგიების გაუმჯობესებას. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია სტუდენტთა რაოდენობასთან თითოეულ პროგრამაში. ამჟამად, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დასაქმებულია 445 თანამშრომელი, მათ შორის 248 აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი და მოწვეული ლექტორი, რომლებიც ჩართულები არიან სასწავლო პროცესში. მათგან 90 აკადემიური პერსონალია. უნივერსიტეტში ასევე დასაქმებულია 154 მკვლევარი, რომელთა ნაწილს აკადემიური პოზიციაც უკავია. აღსანიშნავია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან 38 თანამშრომელი თავად უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. ინსტიტუციას სხვადასხვა მიმართულებით განსაზღვრული აქვს პერსონალის სამიზნე ნიშნულები. პერსონალის სასწავლო დატვირთვა დაბალანსებულია, მათ მიერ დადასტურდა, რომ მათი საშუალო ყოველკვირეული აკადემიური დატვირთვა დაახლოებით შვიდ საათს შეადგენს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პროგრამის მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

- პერსონალის საქმიანობისა და პროფესიული განვითარების შეფასების მექანიზმები
- პერსონალის შერჩევის წესი;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი
- პერსონალის ინდივიდუალური სამუშაო დატვირთვა
- პერსონალის CV-ები;
- ხელშეკრულებების ფორმები;
- თვითშეფასების ანგარიში და გასაუბრება;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- სასურველია, კვლევითი საქმიანობისთვის განსაზღვრული საათების შესრულების შესახებ წარმოდგენილი იყოს უფრო დეტალური დოკუმენტაცია.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს დანერგილი აქვს მარეგულირებელი დოკუმენტების სტრუქტურირებული ჯგუფი, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან აკადემიურ და ადმინისტრაციულ საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს სტუდენტთა მიღების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხებს, ასევე პლაგიატისა და აკადემიური არაკეთილსინდისიერების პოლიტიკას. გარდა ამისა, განსაზღვრულია შეფასების გასაჩივრების პროცედურები, ასევე დისკრიმინაციისა და შევიწროებისგან დაცვის მექანიზმები. ამავე რეგულაციებში აღწერილია შიდა და გარე მობილობის პროცედურები, აკადემიური კვალიფიკაციის მინიჭების კრიტერიუმები, აკადემიური ტრანსკრიპტის გაცემის სახელმძღვანელო პრინციპები და წინა განათლების აღიარების სტანდარტები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურების ეფექტურ და დროულ განხორციელებას, რათა დაიცვას სტუდენტთა უფლებები და სამართლებრივი ინტერესები.

უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდაა ხელმისაწვდომი მის ვებგვერდზე. გარდა ამისა, სტუდენტები მათ შესახებ ინფორმირებულნი არიან სწავლის დაწყებამდე, პირველ სემესტრში, საორიენტაციო პერიოდში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტების მონაცემთა დაცვისა და შენახვის წესები, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა ინფორმაცია შეიძლება იყოს შენახული და რა ვადით.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტსა და თითოეულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იცავს სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ადგილზე ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ხელშეკრულების ხელმოწერამდე მოითხოვონ განმარტებები ან მიიღონ დამატებითი ინფორმაცია კონტრაქტის ნებისმიერ პირობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ პროცესს უზრუნველყოფენ იურიდიული და სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურები, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ ხელშეკრულების პირობების სრულყოფილად გაგებას.

უნივერსიტეტი იცავს თანასწორობის პრინციპს და უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებების დაცვას სტუდენტების დეკანის ინსტიტუციური როლის საშუალებით. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი და შესაძლო პრობლემების შემთხვევაში აპელაციების განხილვის პროცესი. სტუდენტების დეკანი, რომელიც ზედამხედველობს სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურს, წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო პირს ნებისმიერ ინიციატივასთან, შეშფოთებასთან ან დავასთან დაკავშირებით. საწყის საორიენტაციო ეტაპზე სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია აკადემიურ პერსონალისაგან ინფორმაციის მიღების სტანდარტული არხების შესახებ. თუმცა, თუ აღნიშნული არხები სტუდენტებისთვის მიუწვდომელია, მათ შეუძლიათ პირდაპირ სტუდენტების დეკანს მიმართონ. სტუდენტების დეკანი უზრუნველყოფს სტუდენტებსა და აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას შორის კომუნიკაციას, წარმოადგენს სტუდენტთა ინტერესებს და ეხმარება მათ გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრაში.

სტუდენტთა გადინების მაჩვენებელი დაბალია, და მათგან მხოლოდ 10%-თან დაკავშირებითაა ცნობილი, რომ ფინანსური მიზეზების გამო დატოვეს უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის პერსონალი აქტიურად მუშაობს სტუდენტთა მოზიდვაზე – ყოველწლიურად ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაახლოებით 10%-ს სტუმრობს უნივერსიტეტის წარმომადგენლობა, ტარდება ღია კარის დღეები, ასევე უნივერსიტეტი აწყობს აკადემიურ შეჯიბრს პოტენციური სტუდენტებისთვის. პოტენციური აბიტუიენტებისთვის ჩატარებული გასაცნობი ღონისძიებების ორგანიზებაში ჩართულები არიან მოქმედი სტუდენტებიც. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი სრულად აკმაყოფილებს 5.1-კომპონენტშში მოცემულ მოთხოვნებს. ინსტიტუციას ეფექტურად აქვს დანერგილი და განხორციელებული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების, საგანმანათლებლო მიღწევების აღიარებისა და სტუდენტთა უფლებების დაცვის პროცესები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტუდენტთა ეთიკის კოდექსი • გარე და შიდა მობილობის წესები • გამოცდების ადმინისტრირებისა და შეფასების წესები • გასაუბრების შედეგები დეკანთან, სარეგისტრაციო სამსახურთან და დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან • სტუდენტის ხელშეკრულების ასლი.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.

- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ორიენტირებულია სტუდენტზე კონცენტირებული გარემოს ჩამოყალიბებაზე და სთავაზობს სტუდენტთა მრავალფეროვან საჭიროებებზე მორგებულ სერვისებს. გარდა ამ სერვისების უზრუნველყოფისა, უნივერსიტეტი აქტიურად ზრუნავს სტუდენტთა ინფორმირებულობაზე აღნიშნული სერვისების ხელმისაწვდომობისა და შესაბამისი დეტალების შესახებ. სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან კონსულტაციებითა და მხარდაჭერით მათი აკადემიური პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით.

უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრება მოიცავს აქტიურ კულტურულ და სოციალურ შესაძლებლობებს, რასაც განსაკუთრებით აფასებენ როგორც მოქმედი სტუდენტები, ისე კურსდამთავრებულები.

სტუდენტები იღებენ დროულ და სრულყოფილ ინფორმაციას სხვადასხვა არხების მეშვეობით, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, უშუალო კომუნიკაციის გზით, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული მასალებისა და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით. ეს მრავალმხრივი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა ყველა აუცილებელ ინფორმაციაზე, რაც საჭიროა მათი აკადემიური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების ეფექტურად წარმართვისთვის. გარდა ამისა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ კონკრეტული სასწავლო კურსის შესახებ დამატებითი კონსულტაცია მიიღონ ლექტორისგან, როგორც ეს სასწავლო კურსის სილაბუსშია განსაზღვრული. აღნიშნული მექანიზმი სტუდენტებს სთავაზობს პერსონალიზებულ აკადემიურ მხარდაჭერას, რომელიც მორგებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე სასწავლო კურსის შინაარსთან მიმართებით.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს კვლევებს, რათა შეაფასოს სტუდენტების პიროვნული, პროფესიული და აკადემიური განვითარება, და ამით უზრუნველყოფს უწყვეტ უკუკავშირსა და გაუმჯობესებას. უნივერსიტეტი ასევე ქმნის შესაძლებლობებს საერთაშორისო მობილობისა და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისათვის, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ გლობალურ ინიციატივებში. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საერთაშორისო პროექტებისა და უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რათა მათ ჰქონდეთ

ინფორმაცია ფართო ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ. თუმცა, გარკვეული შეშფოთება გამოითქვა იმის თაობაზე, რომ ყველა დისციპლინის სტუდენტს შესაძლოა თანაბარი შესაძლებლობები არ ჰქონდეს საერთაშორისო მობილობისათვის.

კარიერული განვითარების ინიციატივები განსაკუთრებით ძლიერი ჩანს, რაც დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი აქტივობების დეტალური სიით. აღნიშნული ინიციატივებიდან ერთ-ერთია დასაქმების ფორუმი, რომელიც წელიწადში ორჯერ ტარდება და რომელსაც დაახლოებით 100 ორგანიზაცია ესწრება. აღნიშნული დადასტურდა დამსაქმებლებთან ინტერვიუებით. ამ ძალისხმევის ეფექტურობას რექტორი სისტემატურად აფასებს, რათა უზრუნველყოს ინსტიტუციური მიზნებთან შესაბამისობა და უწყვეტი გაუმჯობესება. კარიერული სერვისებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა მხრიდანაც.

საერთაშორისო აკადემიური ვიზიტების შესაძლებლობები კარგად არის ჩამოყალიბებული, ხოლო სტუდენტთა შერჩევა ხდება მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც მითითებულია საკონკურსო წესებში. შერჩევის პროცესი მოიცავს კანდიდატების ენის ცოდნის შეფასებას, მათი მოლოდინების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობასა და სამოტივაციო წერილის წარდგენას. დაბრუნების შემდეგ, სტუდენტები ვალდებულნი არიან ჩაატარონ პრეზენტაციები, სადაც რეფლექსიას მოახდენენ საკუთარ გამოცდილებაზე, რაც ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებასა და სხვა სტუდენტების მოტივირებას. აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვანია როგორც სტუდენტების აკადემიური, ისე პიროვნული განვითარებისათვის.

სტუდენტები თავს კომფორტულად გრძნობენ უნივერსიტეტის პერსონალთან საკითხების განხილვისა და პრობლემების გაზიარებისას. გარდა ამისა, მათ კარგად ესმით პრობლემების მოგვარებისათვის დადგენილი პროცედურები და ინფორმირებულები არიან, თუ ვის უნდა მიმართონ მხარდაჭერისთვის.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტს აქვს სტუდენტური თვითმმართველობა. თუმცა, გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები სათანადოდ არ იცნობენ ამ სტრუქტურულ ერთეულს. მათ აღნიშნეს, რომ სტუდენტურ ორგანოსა და ადმინისტრაციას შორის კომუნიკაცია ამჟამად მხოლოდ ადმინისტრაციული წარმომადგენლის მეშვეობით ხორციელდება, ნაცვლად დამოუკიდებელი სტუდენტური ორგანიზაციისა. სასარგებლო იქნებოდა, რომ, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ცნობიერება სტუდენტური თვითმმართველობის არსებობისა და მისი როლის შესახებ, რათა ხელი შეუწყოს უფრო პირდაპირ და ეფექტურ კომუნიკაციას სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კარიერული მხარდაჭერის სამსახური
- ინფორმაციის საჯაროობა (ვებ-გვერდი)
- სტუდენტთა ხელშეწყობის მექანიზმები

- გასაუბრების შედეგები თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და სტუდენტების დეკანთან, დოქტორანტებთან, სადოქტორო პროგრამის ახალ კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურთან.
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი

რეკომენდაციები:

რჩევები:

სასურველია, რომ უნივერსიტეტმა მეტად იმუშაოს სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოს არსებობის და როლის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტებს და ადმინისტრაციას შორის უფრო პირდაპირ და ეფექტურ კომუნიკაციას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტერესების მეტად გათვალისწინებას.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თვითშეფასების ანგარიში აღწერს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვლევით მისიას, რომლის მიზანია სამეცნიერო ცოდნის განვითარების მხარდაჭერა როგორც

თეორიული, ისე პრაქტიკული მიმართულებით. აღინიშნება, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მჭიდრო კავშირის ჩამოყალიბება კვლევით საქმიანობასა და საგანმანათლებლო პროგრამებს შორის. უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელებას და ხელს უწყობს ამ აქტივობების ინტერნაციონალიზაციას, მათ შორის საერთაშორისო გრანტების მოზიდვასა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებას. ხაზგასმულია, რომ აკადემიური პერსონალის კავშირები საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან პირდაპირ გავლენას ახდენს სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო კვლევების ხარისხსა და მასშტაბზე.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვლევითი მისია ემსახურება:

- ინდივიდუალური კვლევების გზით ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნას;
- დისციპლინათაშორისი კვლევების ხელშეწყობას;
- მაღალი დონის, სამეცნიერო ღირებულების მქონე ცოდნის განვითარებას.

განსაზღვრულია კვლევითი განვითარების სტრატეგია, რომლის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს კვლევის ინტერნაციონალიზაცია და მისი შედეგების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირება. ამ მიზნის მისაღწევად, ინსტიტუცია ახორციელებს როგორც ფუნდამენტურ, ისე გამოყენებით კვლევებს, რომლებიც ცოდნის შექმნასა და მისი პრაქტიკაში დანერგვას ისახავს მიზნად. აღნიშნულია, რომ ფუნდამენტური კვლევების შედეგები გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა გახდეს სოციალური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველი. განსაზღვრულია გამოყენებითი კვლევის მიზნები, განსაკუთრებული აქცენტით ტექნოლოგიების ტრანსფერსა და ინოვაციებზე, რათა უპასუხოს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს.

აღწერილია კვლევის მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც მოიცავს შემდეგს: მკვლევარების ადმინისტრაციული მოვალეობებისგან გათავისუფლება; სწრაფი და გამარტივებული საკომუნიკაციო არხები; მეცნიერებისთვის გრანტების დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაძლიერება; ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფა; და შესყიდვების მართვის ცენტრალიზებული სისტემა. აღინიშნება, რომ აღნიშნული მექანიზმების მთავარი მიზანია, უზრუნველყოს, რომ ყველა აკადემიურ პოზიციაზე მყოფი პირი აქტიურად იყოს ჩართული კვლევით საქმიანობაში, რადგან ეს მიდგომა განათლებისა და კვლევის ინტეგრირების ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიიჩნევა. კვლევითი პერსონალის თქმით, ინსტიტუციურ დონეზე არ არსებობს ფინანსური შეზღუდვები, რომლებიც მათ კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში შეუშლიდა ხელს.

კვლევითი მისიის განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს გააჩნია სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს: 14 კვლევით ინსტიტუტს, რომლებიც აერთიანებს 26 კვლევით ლაბორატორიას; 7 დამოუკიდებელ სამეცნიერო ლაბორატორიას; 2 დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას; 30-მდე

სასწავლო ლაბორატორიას; სამ ექსპერიმენტულ კვლევით ბაზას და ხუთ კოლექციას, რომლებიც ათასობით სხვადასხვა ნიმუშს შეიცავს. თვითშეფასების ანგარიშის დანართი „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობა“ აღწერს თითოეული კვლევითი ერთეულის მოკლე ისტორიას, სამეცნიერო კვლევის მიმართულებას, მიღწეულ მნიშვნელოვან კვლევით შედეგებსა და მიმდინარე კვლევებს.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია მონაცემები 2018- 2024 წლებში მეცნიერების სამეცნიერო პროდუქტიულობის შესახებ: რეფერირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები – 893; კონფერენციებში მონაწილეობა – 413; წარდგენილი საპროექტო განაცხადები – 452; დაფინანსებული პროექტები – 195 (საერთო ბიუჯეტი: 24,388,169.50 ლარი) გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის, მათ შორის პუბლიკაციების, კონფერენციებისა და კვლევითი გრანტების შესახებ, სხვადასხვა კონტექსტში, მეტი სიცხადისათვის, რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდის დინამიკის შესაფასებლად. ინსტიტუციამ წარმოადგინა საუნივერსიტეტო მონაცემები, თუმცა არ არის შესაძლებელი...

თვითშეფასების ანგარიში ხაზგასმით აღნიშნავს სტუდენტთა ჩართულობას კვლევით საქმიანობაში. კერძოდ, აღნიშნულია, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სწავლის სხვადასხვა ეტაპზე ჩაერთონ კვლევებში. ასევე, ხაზგასმულია ისიც, რომ სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის განკთვნილ საგრანტო კონკურსებში.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია უნივერსიტეტის საგამომცემლო აქტივობების შესახებ. სამეცნიერო აქტივობების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეტალები უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალების შესახებ. ელექტრონული ჟურნალებისთვის შექმნილია ონლაინ პლატფორმა http://journals.org.ge/. ასევე, გამოკვეთილია ჟურნალ Annals of Agrarian Science-ის მიღწევები.

თვითშეფასების ანგარიშში 6.1 კომპონენტი არ შეიცავს ინფორმაციას დოქტორანტთა ხელმძღვანელების ფუნქციების, ხელმძღვანელის აკადემიური დატვირთვისა და სადოქტორო დისერტაციის დაცვის პროცედურების შესახებ. თუმცა, 3.2 კომპონენტი მოკლედ აღწერს სადოქტორო ნაშრომის კვლევით კომპონენტსა და დისერტაციის დაცვის წინაპირობებს, რომლებიც რეგულირდება სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს რეგულაციებით. აღნიშნული რეგულაციები განსაზღვრავს აუცილებელ პროცედურებს და ადგენს დისერტაციის დაცვის მინიმალურ სტანდარტებს. კერძოდ, დისერტაციის წარდგენამდე დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია მის კვლევის თემასთან დაკავშირებით, სამეცნიერო კომიტეტების მიერ რეკომენდებულ Impact Factor-ის მქონე საერთაშორისო ჟურნალში. აღსანიშნავია, რომ დაცული დისერტაციების სია, ასევე სადოქტორო პროგრამის კოორდინატორთან და დოქტორანტებთან ჩატარებული ინტერვიუები მიუთითებს, რომ სადოქტორო საფეხურზე სწავლებისა და კვლევის პროცესები მაღალ აკადემიურ სტანდარტებზე მიმდინარეობს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიში არ შეიცავს მკაფიო ინფორმაციას დოქტორანტთა ხელმძღვანელების ფუნქციების და მათი აკადემიური

დატვირთვის შესახებ, აღნიშნული ფაქტები, თვითშეფასების ანგარიშის დანართებთან, საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების მიმოხილვასა და ინტერვიუს შედეგებთან ერთად, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პრაქტიკაში, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს კარგად ჩამოყალიბებული პროცედურები აქვს დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მაღალი ხარისხის დისერტაციების მომზადების კუთხით.

სადოქტორო პროგრამებს ჰყავს საუნივერსიტეტო დონის კოორდინატორი, რომელიც მონიტორინგს უწევს სტუდენტების პროგრესს მათთან კონტაქტისა და უკუკავშირის გზით. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში გამოქვეყნებულია 893 სამეცნიერო ნაშრომი, რაც ასახავს კვლევით საქმიანობას. ასევე გამოცემულია წიგნები, რომელთა დიდი ნაწილი ქართულ ენაზეა. აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა აღნიშნულ პერიოდში 413 კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. კონფერენციებზე დასწრება უნივერსიტეტის მიერ არა მხოლოდ ნებადართულია, არამედ წახალისებული და დაფინანსებულია უნივერსიტეტის მიერ. კონფერენციაზე დასწრების დაფინანსებისთვის არ არსებობს კონკრეტული ზღვრები (მაგალითად, ზეპირი ან პოსტერის პრეზენტაცია ანდა ხარჯები), თუმცა პერსონალმა ვერ გაიხსენა შემთხვევა, როდესაც ასეთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ასევე ფიქსირდებოდა საპროექტო განაცხადების წარმატების მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნულს ხელს უწყობს საგრანტო განაცხადების მომზადებისათვის გამოყოფილი დაფინანსება, მათ შორის განაცხადების საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით უცხოეთში მომზადების დაფინანსება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 19 დოქტორანტმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო ნაშრომი. პროექტების საგრანტო განაცხადები, რომელიც თანადაფინანსებას მოითხოვს, უმეტეს შემთხვევაში წარმატებულია. დეკანების თქმით, ყველა აპლიკანტი ინფორმირებულია აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ.

დეპარტამენტების ხელმძღვანელები ღია არიან პერსონალის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო პუბლიკაციების იდეებისა და წინადადებების მიმართ. აღნიშნული წინადადებები დასამტკიცებლად განიხილება რექტორთან და პრორექტორებთან. პერსონალის თქმით, მათ აქვთ თავისუფლება განახორციელონ კვლევა, რომელიც მათთვის საინტერესოა და ეს მათთვის განსაკუთრებით ფასეულია. მათ ასევე შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში და განავითარონ თავიანთი კვლევითი ინტერესები სადოქტორო კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობის გზით.

თვითშეფასების ანგარიშის დანართში წარმოდგენილი თითოეული კვლევითი ერთეულის აღწერა, ინფორმაცია სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების მიმოხილვა და გასაუბრების შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ:

- უნივერსიტეტი ფლობს მკაფიო ხედვას კვლევითი საქმიანობისა და შესაბამისი კვლევითი სტრუქტურების შესახებ;
- უნივერსიტეტი გამოირჩევა ძლიერი სამეცნიერო პერსონალით და გააჩნია მდიდარი კვლევითი გამოცდილება;

- უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა განახორციელოს ისეთი კვლევები, რომლებიც ხელს უწყობს სამეცნიერო, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას;
- უნივერსიტეტს სწავლების პროცესში ინტეგრირებული აქვს კვლევითი საქმიანობა, რის შედეგადაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები კვლევებში;
- უნივერსიტეტში განსაზღვრულია დოქტორანტთა ხელმძღვანელების ფუნქციები;
- უნივერსიტეტში დანერგილია დისერტაციების შეფასებისა და დაცვის მაღალი სტანდარტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუბრებების შედეგები და ა.შ.

- გასაუბრება ვიცე-რექტორთან, დეკანებთან, აკადემიურ პერსონალთან.
- თვითშეფასების ანგარიში.
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვლევითი აქტივობები.
- პუბლიკაციების სია.
- კონფერენციებში მონაწილეობის სია.
- სადოქტორო დისერტაციების აბსტრაქტები.
- გასაუბრების შედეგები დეკანებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან, კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შეsსაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია კვლევითი საქმიანობის განვითარების მხარდამჭერი მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები ასევე მოხსენიებულია 6.1 კომპონენტში და მოიცავს შემდეგს: • მკვლ+ ოევარები გათავისუფლებული არიან ადმინისტრაციული მოვალეობებისგან; • უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწრაფ და გამარტივებულ საკომუნიკაციო არხებს, რაც ინფორმაციის დისემინაციისა და სხვადასხვა სახის კონსულტაციების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა; • უნივერსიტეტი ხელს უწყობს მეცნიერებისთვის წვდომას საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობების ფართო სპექტრზე. • უნივერსიტეტი აღჭურვილია აუცილებელი ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა კვლევითი ინსტიტუტისა და ლაბორატორიისთვის. აღწერილია აღნიშნული მექანიზმების განხორციელებით მიღწეული შედეგები. ხაზგასმულია შემდეგი მექანიზმები: უნივერსიტეტის რეიტინგი; მკვლევართა მიერ მოპოვებული გრანტების რაოდენობის დინამიური ზრდა; კვლევითი პროექტების დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია; ძვირადღირებული ინფრასტრუქტურის შეძენა; მკვლევართა გაზრდილი ცნობადობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე; სტუდენტთა აქტიური ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. ასევე, აღწერილია ხელფასის ფორმირების მეთოდი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის ადმინისტრაციულ, პედაგოგიურ და სამეცნიერო/კვლევით საქმიანობას. წარმოდგენილია შესაბამისი პროპორციები, რომლებიც ხაზს უსვამს იმას, რომ სამივე ფუნქცია ანაზღაურდება პროპორციულად, სამართლიანად და თითოეული კომპონენტის წახალისების მიზნით. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია: • წლიური შეფასების სისტემის დანერგვისა და ორგანიზების შესახებ; • სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მართვის შესახებ; • მიმდინარე პროექტების მონიტორინგის შესახებ; • შესყიდვების მართვის ცენტრალიზებული სისტემის შესახებ. თუმცაღა, წარმოდგენილი ინფორმაცია პირდაპირ არ უკავშირდება 6.2-კომპონენტის შეფასებას.

თვითშეფასების ანგარიშის მნიშვნელოვანი ნაწილი უნივერსიტეტის ბიუჯეტში კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის აღწერაა. კერძოდ, მოცემულია, რომ უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითადი წყარო სწავლის გადასახადია, რომელიც მთლიანი შემოსავლის 64.9%-ს შეადგენს. ამასთან, ანგარიშში ხაზგასმულია, რომ უნივერსიტეტი ასევე იღებს შემდეგი სახის შემოსავლებს:

- სამეცნიერო პროექტების დაფინანსებისთვის მოპოვებული ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები – (საერთო შემოსავლის 15%);
- ცოდნის ფონდის პირდაპირი დაფინანსება საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებისთვის – (საერთო შემოსავლის 6.3%);
- სხვა საგანმანათლებლო-პრაქტიკული და ლაბორატორიული საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლები – (საერთო შემოსავლის 13.8%).

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის კვლევითი ბიუჯეტის 45.2% მიღებულია უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ მოპოვებული კვლევითი გრანტებიდან. უნივერსიტეტის სამიზნე ინდიკატორი კვლევის დაფინანსებისთვის შეადგენს მოქმედი ხარჯების 10%-ს, საიდანაც 5% უნდა მოდიოდეს გარე წყაროებიდან, ხოლო 5% – შიდა დაფინანსებიდან. 2023–2024 სასწავლო წელს უნივერსიტეტის მიერ მოპოვებულმა გარე გრანტებმა შეადგინა მოქმედი ბიუჯეტის 7%, ხოლო შიდა დაფინანსებამ – დაახლოებით 8.5%. შედეგად, კვლევითი საქმიანობის დაფინანსება უნივერსიტეტის საერთო მოქმედი ბიუჯეტის 15.5%-ს შეადგენდა.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი არის ფინანსურად სტაბილური და მდგრადი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია სრულად, სათანადოდ და მოწადინებულად შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები გრძელვადიან პერსპექტივაში. უნივერსიტეტის ფინანსური სტაბილურობა ასახულია მის კვლევით კომპონენტშიც, რაც ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა.

ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი მოქმედებს როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. როგორც ორგანიზაცია, რომელიც მოგებაზე არ არის ორიენტირებული, იგი ბიუჯეტის მთელ ნაშთს ინვესტიციისათვის იყენებს, საგანმანათლებლო და კვლევით ინიციატივებში, რაც უნივერსიტეტის ფინანსური და ორგანიზაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკას ასახავს.

6.2 კომპონენტში ეს ინფორმაცია არ არის მოცემული, თუმცა 7.4 კომპონენტში აღნიშნულია, რომ აკადემიური პერსონალი მიმართავს ცოდნის ფონდს ან საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს, მათი სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების ან თანადაფინანსებისათვის (მაგალითად, სტატიის გამოქვეყნება, კონფერენციის ორგანიზება ან საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა, ეროვნული ან საერთაშორისო გრანტები და სხვა). აკადემიურ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ეს რესურსი მათთვის ხელმისაწვდომია, თუმცა მათ არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია დაფინანსების მისაღები პროცედურებისა და წლის განმავლობაში მაქსიმალური ხელმისაწვდომი თანხის შესახებ. ამ მიზეზით, ექსპერტთა

ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა შეიძლება ფორმალიზება მოახდინოს და სისტემატიზებული სახე მისცეს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის არსებულ მექანიზმს, სათანადოდ გაწერილი დოკუმენტის შემუშავებით, რომელიც აკადემიურ პერსონალს მიაწვდის მკაფიო ინფორმაციას ხელმისაწვდომი რესურსების, მათი მიღებისათვის საჭირო ნაბიჯებისა და შესაბამისი პროცედურების შესახებ.

თვითშეფასების ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ახალგაზრდა ნიჭიერი კადრების სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში მოზიდვისა და ჩართვის საუნივერსიტეტო სტრატეგია. აღწერილი მექანიზმები სტანდარტულია და მოიცავს: ვაკანტური პოზიციებისთვის კონკურსის გამოცხადებას; შერჩევის სტრუქტურირებულ პროცესს; სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელებას განსაზღვრული საკონკურსო ვადის ამოწურვის შემდეგ. თუმცა, ინტერვიუებმა და უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს ახალგაზრდა პერსონალის ინიციატივებს. შედეგად, მათი ჩართულობა უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში დაკმაყოფილებლად ითვლება.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კოორდინატორების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის მკვლევრებისათვის წვდომის გამარტივება რაც შეიძლება მეტ საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობაზე. ამ კუთხით, უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციებთან, მათ შორის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, უკრაინის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, CRDF Global, DTRA, Horizon 2020 და სხვა. კვლევითი საქმიანობის კოორდინატორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული კონკურსებისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადებასა და ორგანიზებას, რადგან ეს გრანტების მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია. კონკურსებზე წარდგენილი განაცხადები მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

- განაცხადის ფორმა
- სამეცნიერო ფონდების მიერ განსაზღვრული საპროექტო განაცხადის დოკუმენტები
- შესაბამისი ბიუჯეტის ფორმა
- თანადაფინანსების დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში)
- განაცხადი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის შესახებ
- სხვადასხვა ინდივიდუალური

ინტერვიუებმა სხვადასხვა წარმომადგენლებთან და კვლევითი გრანტების შესახებ მოპოვებულმა ინფორმაციამ ექსპერტთა ჯგუფს საფუძველი მისცა დაესკვნა, რომ აღნიშნული პროცესი უნივერსიტეტში კარგად არის ორგანიზებული.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესახებ. განმარტებულია, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისიის მიხედვით, დაწესებულებაში სწავლება ექსკლუზიურად ქართულ ენაზე მიმდინარეობს, რაც არაქართულენოვანი

სტუდენტების მიღების შესაძლებლობებს ზღუდავს. თუმცა, ეს არ არის ინტერნაციონალიზაციის ინდიკატორი, არამედ მხოლოდ მექანიკური ინტერნაციონალიზაციის პრევენციას წარმოადგენს. რეალურად, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- საერთაშორისო დონის პროგრამები;
- განათლება, რომელიც თავსებადია საერთაშორისო სისტემებთან
- საერთაშორისო გამოცდილების მქონე პროფესორ-მასწავლებლები;
- მემორანდუმები სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან;
- უცხოეთში განათლება-მიღებული სტუდენტების მარტივი ინტეგრაცია;
- გაცვლითი პროგრამები და Erasmus+;
- საერთაშორისო თანამშრომლობა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ინსტიტუციებთან;
- მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ლექტორების დაახლოებით 30% ფლობს საზღვარგარეთ მიღებულ განათლებას ან სამუშაო გამოცდილებას.

თვითშეფასების ანგარიში, მისი დანართები, უნივერსიტეტის თითოეული კვლევითი ერთეულის აღწერა და უნივერსიტეტის სხვადასხვა წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუები ექსპერტთა ჯგუფს საშუალებას აძლევს დაასკვნას, რომ:

- უნივერსიტეტი არის ფინანსურად სტაბილური და მდგრადი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია სრულად, სათანადოდ და მოწადინებულად შეასრულოს საკუთარი კვლევითი ვალდებულებები გრძელვადიან პერსპექტივაში;
- უნივერსიტეტში კარგად ორგანიზებულია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, ასევე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მხარდაჭერის სისტემა, კვლევის დაფინანსების მოსაპოვებლად სხვადასხვა წყაროებიდან.
- უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს ახალგაზრდა პერსონალის ინიციატივებს;
- კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისთვის სხვადასხვა წყაროები არსებობს, თუმცა სასურველია, რომ უნივერსიტეტმა მოახდინოს მხარდაჭერის არსებული მექანიზმის ფორმალიზება. ამისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას სათანადო დოკუმენტი, რომელიც აკადემიურ პერსონალს მიაწვდის მკაფიო ინფორმაციას ხელმისაწვდომი რესურსების, მათი მიღებისათვის საჭირო ნაბიჯებისა და შესაბამისი პროცედურების შესახებ.;
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის დონე დამაკმაყოფილებლად მიიჩნევა. დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ ჰქონდათ კვლევითი ვიზიტების გამოცდილება გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და ესტონეთში, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა ინტერვიუში დისტანციურად მიიღო მონაწილეობა, რადგან კვლევითი მიზნით ისინი მივლინებაში იმყოფებოდნენ. კვლევითმა ინსტიტუტებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად თანამშრომლობენ ჩეხეთის, გერმანიისა და საბერძნეთის დაწესებულებებთან. სტუდენტების თქმით, ხელმისაწვდომია საერთაშორისო გაცვლითი ვიზიტები და მათაც გამოუყენებიათ ეს შესაძლებლობა, თუმცა სჩანს,

რომ აგრონომიის მიმართულების სტუდენტებისთვის ასეთი შესაძლებლობა ნაკლებად არის ხელმისაწვდომი. სასურველია, ეს საკითხი გადაიჭრას, რათა ყველა პროგრამის სტუდენტს თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა პერსონალისთვის მოიცავს საზღვარგარეთ კვლევითი ვიზიტების წახალისებასა და ხელშეწყობას. ასევე, კვლევითი პერსონალისთვის ხელმისაწვდომია დისტანციური მუშაობის შესაძლებლობები და მსგავსი თანამშრომლებისათვის უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური შვებულების წლის (Sabbatical) გამოყენების მექანიზმი. საველე კვლევები და საჯარო პრეზენტაციები ფინანსურად მხარდაჭერილია. კვლევითი პროექტების დაფინანსებისათვის ხელმისაწვდომია თანადაფინანსების შესაძლებლობები. კვლევითი ინსტიტუტების პერსონალმა აღნიშნა, რომ მათთვის მარტივია მმართველი რგოლის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია, დისკუსიის, საკითხების განხილვისა და შეფასებისათვის. კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ მათთან კონსულტაციები გაიმართა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში მოქმედებს კვლევების სამსახური, რომელიც აკადემიური პერსონალს ეხმარება საგრანტო განაცხადების მომზადებაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს დაფინანსებას საგრანტო განაცხადების მოსამზადებლად, რაც იშვიათი პრაქტიკაა, მაგრამ მნიშვნელოვანი მოტივატორია პერსონალისათვის, რადგან ასეთი განაცხადების მომზადება დროულ და ინტენსიურ მუშაობას მოითხოვს. კვლევების მართვასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტში პარალელურად მიმდინარეობს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესები, რომლებიც გარკვეულწილად ერთმანეთს ემთხვევა. კვლევითი აქტივობები მონიტორინგს ექვემდებარება, თუმცა ნათელი არ იყო, თუ როგორ არის ეს პროცესი ფორმალიზებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუბრებების შედეგები და ა.შ. • თვითშეფასების ანგარიში. • საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვლევითი აქტივობები. • კვლევის ხელშეწყობის მექანიზმები; • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; • ეკონომიკურ აგენტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები; • ინტერვიუების შედეგები პროგრამების ხელმძღვანელებთან, კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების ფორმალიზება შესაბამისი დოკუმენტის შემუშავებით, რომელიც

აკადემიურ პერსონალს მიაწვდის მკაფიო ინფორმაციას ხელმისაწვდომი რესურსების, ასევე, მათზე წვდომის მოსაპოვებლად საჭირო ნაბიჯების და პროცედურების შესახებ.
რჩევები: • სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს გაცვლით პროგრამებზე თანაბარი წვდომა ყველა დეპარტამენტის სტუდენტებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: თვითშეფასების ანგარიშში ხაზგასმით აღინიშნება, რომ პერსონალის საქმიანობისა და პროფესიული განვითარების შეფასების მექანიზმები უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკას შეესაბამება. პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნებია: • უნივერსიტეტის მისიის გააზრება და პერსონალის მიერ ფუნქციების ეფექტური შესრულების უზრუნველყოფა; • პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა; • პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესების პოტენციალის გამოვლენა და მისაღები ზომების იდენტიფიცირება. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი კვლევითი საქმიანობაა. მეცნიერთა შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, ინდივიდუალურად და ინსტიტუტების/მიმართულებების მიხედვით, ხოლო შედეგები ანალიზდება სამწლიანი დინამიკის გათვალისწინებით. შეფასება ხორციელდება შემდეგი რვა კრიტერიუმის მიხედვით: • ცოდნის ფონდისა და უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი დაფინანსება

- მეცნიერების მიერ ყოველწლიურად მიღებული გრანტების მოცულობა და რაოდენობა
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და სივრცის გამოყენება
- Impact Factor-ის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა და რეიტინგი
- ციტირების ინდექსი (არსებობის შემთხვევაში)
- გამოქვეყნებული წიგნები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები
- სასწავლო პროცესში ჩართულობა (წლიური აკადემიური დატვირთვა, საათების რაოდენობა)
- დოქტორანტების ხელმძღვანელობა წლის განმავლობაში და დაცული დისერტაციების რაოდენობა

ანგარიში აღწერს, თუ როგორ შეიძლება თითოეული კომპონენტის შეფასება. პერსონალთან და ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ შეფასების პროცესი ნამდვილად ხორციელდება. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა აკადემიური პერსონალისა და ინსტიტუტების/დეპარტამენტების სამეცნიერო საქმიანობის შეფასების დოკუმენტების ნიმუშები, ასევე სამეცნიერო აქტივობების შეფასების ანალიზის ნიმუში და შესაბამისი სამოქმედო გეგმა (არსებობის შემთხვევაში). სამწუხაროდ, ეს დოკუმენტები არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს შეფასების კრიტერიუმები და ინტერვიუების შედეგები მიუთითებს შეფასების პროცესის არსებობაზე, რეკომენდებულია აკადემიური პერსონალისა და კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცედურის გაუმჯობესება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შეიქმნას შედეგების ანალიზის სისტემა, რათა უზრუნველყოფილ იქნას განვითარების გეგმის ჩამოყალიბება და განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუბრებების შედეგები და ა.შ.

- თვითშეფასების ანგარიში.
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვლევითი აქტივობები.
- კვლევის ხელშეწყობის მექანიზმები;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- ეკონომიკურ აგენტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის და კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცედურა და დაინერგოს

შედეგების ანალიზის სისტემა, რაც უზრუნველყოფს შემდგომი განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსები
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი მდებარეობს „კახა ბენდუქიძის“ კამპუსზე და სპეციალიზებულია აგრარული სექტორის განათლებასა და სამეცნიერო კვლევებში. კამპუსზე არსებული უძრავი და მოძრავი ქონების გარკვეული ნაწილი ეკუთვნის შპს „აგრომეტს“, რომელიც უნივერსიტეტს იჯარით გადაცემული აქვს 2033 წლამდე. აღსანიშნავია, რომ შპს „აგრომეტს“ ნაკისრი აქვს ვალდებულება, სათანადო მდგომარეობაში შეინარჩუნოს სივრცე და

გასწიოს ისეთი სერვისები, როგორიცაა უსაფრთხოება, ტექნიკური მომსახურება, კომუნიკაციები, სამედიცინო მხარდაჭერა და სხვა.

კამპუსის საერთო ფართობი 24,801.8 კვ.მ.-ს შეადგენს და მოიცავს აკადემიური, კვლევითი და ადმინისტრაციული დანიშნულების სივრცეებს. სასწავლო ოთახების რაოდენობა და კონფიგურაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დიდ საკონფერენციო დარბაზებს, მათ შორის 224-ადგილიან დიდ დარბაზსა და „Auditorium Magnum"-ს, რომელიც 640 სტუდენტს იტევს. აღნიშნული სივრცეები საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს უმასპინძლოს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ღონისძიებებს.

ბიბლიოთეკა წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მოიცავს როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ რესურსებს. მისი თანამედროვე ინტერიერი და ტექნოლოგიები აკმაყოფილებს სტუდენტთა საჭიროებებს, ხოლო ინტელექტუალური და აკადემიური შეხვედრებისთვის ხელმისაწვდომია 50-ადგილიანი საკონფერენციო დარბაზი.

საგამოცდო ცენტრი, რომელიც 2022 წელს განახლდა, მოიცავს 900 კვ.მ.-ს და ერთდროულად 305 სტუდენტს იტევს. საგამოცდო ცენტრი კოორდინაციას უწევს გამოცდების განრიგს და ისინი თანხმდება შესაბამის დეპარტამენტებთან, რაც აუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს ჩაატაროს როგორც შიდა, ისე ეროვნული დონის გამოცდები. სტუდენტები ისე ნაწილდებიან აუდიტორიაში, რომ მეზობელ ადგილებზე არ ისხდებიან ისეთი სტუდენტები, რომლებიც ერთსა და იმავე გამოცდას წერენ. მობილური ტელეფონებისა და კამერების გამოყენება აკრძალულია, ხოლო ცენტრი ასევე პასუხისმგებელია ძველი გამოცდების შენახვაზე, რაც მნიშვნელოვანი რესურსია და სჩანს რომ შეუფერხებლად ფუნქციონირებს.

ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციები, რაც მოიცავს:
2021: Auditorium Magnum-ის განახლებას – 900,000 ლარი
2022 საგამოცდო ცენტრის რეკონსტრუქციას – 1,268,433 ლარი
2023: კულინარიის აკადემიის მოდერნიზაციას – 1,000,000 ლარზე მეტი
ვეტერინარული კლინიკა „Veterinarium"-ის მოდერნიზაციას – 1,000,000 ლარზე მეტი
დახურული სპორტული დარბაზის შექმნას – 650,000 ლარი

კამპუსი სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. საპარკინგე სივრცე 527 ავტომობილზეა გათვლილი, მათ შორის სპეციალურად ადაპტირებული ადგილებით. გარდა ამისა, ელექტრომობილების დამტენი სადგურები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის ეკოლოგიური პასუხისმგებლობის პოლიტიკას.

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. კამპუსი დაცვის პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება 24/7 რეჟიმში, ხოლო საკვანძო შიდა და გარე პერიმეტრები აღჭურვილია ვიდეოდაკვირვების (CCTV) კამერებით. სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტები დაცულია – კამპუსში განთავსებულია ცეცხლმაქრები, თვალსაჩინო ინსტრუქციები და საევაკუაციო გეგმები.

უნივერსიტეტი სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს უფასო გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს. სამედიცინო პუნქტი აღჭურვილია ყველა საჭირო სტანდარტული ხელსაწყოთი, ინსტრუმენტებითა და მედიკამენტებით.

კამპუსის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურა მოიცავს ლაბორატორიებს, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო ბიოსაფრთხოების სტანდარტებს (BSL-1 და BSL-2). ეს ლაბორატორიები აღჭურვილია: მიკროსკოპებით, ინკუბატორებით, PCR-აპარატებით, ბიოუსაფრთხოების კაბინეტებით და სხვა თანამედროვე მოწყობილობებით, რომლებიც აუცილებელია მიკრობიოლოგიური, ვირუსოლოგიური და დაკავშირებული კვლევებისათვის. თუ გარკვეული აღჭურვილობა, განსაკუთრებით კვლევითი საჭიროებისათვის, ზედმეტად ძვირია, უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს შესაბამისი ტექნიკის ქირაობას სხვა ინსტიტუციებიდან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რესურსია ვივარიუმი, რომელიც პატარა ლაბორატორიული ცხოველების მოვლისა და გამრავლების შესაძლებლობას იძლევა. იგი სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ხელს უწყობს დაავადებათა პრევენციისა და მკურნალობის კვლევებს.

ვეტერინარული კლინიკა წარმოადგენს როგორც საგანმანათლებლო, ისე პრაქტიკულ რესურსს ცხოველთა მოვლის მიმართულებით. იგი აღჭურვილია დიაგნოსტიკური მოწყობილობებით, რენტგენით, ულტრაბგერით სკანერებითა და სხვა ტექნიკით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალურ გარემოში ისწავლონ. კამპუსზე არსებული მცირე ფერმა დამატებით აძლიერებს ვეტერინარული განათლების პრაქტიკულ კომპონენტს, საშუალებას აძლევს რა სტუდენტებს უშუალო კონტაქტი ჰქონდეთ სასოფლო-სამეურნეო ცხოველებთან.

ენოლოგიისა და მეღვინეობის აკადემია უზრუნველყოფს თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას ვაზის მოყვანის, მეღვინეობისა და დეგუსტაციის ტექნიკებში. ლაბორატორიული და საწარმოო აღჭურვილობის გამოყენება უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განათლებას.

კულინარიის აკადემია სტუდენტებს ასწავლის ტრადიციულ ქართულ და გლობალურ კულინარიულ ტექნიკებს, რაც ხელს უწყობს კრეატიულობასა და კარიერული მზადყოფნის გაძლიერებას კულინარიულ ხელოვნებაში.

სპორტული და სარეკრეაციო ზონები რელაქსაციის შესაძლებლობას იძლევა და მოიცავს ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის და სხვა აქტივობების შესაბამის მატერიალურ ბაზას, რაც ფიზიკურ კეთილდღეობასა და გუნდურ მუშაობას უწყობს ხელს. კამპუსის ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია დენდროლოგიური პარკი მცენარეთა უნიკალური კოლექციებით, რომელიც ქმნის ეკოლოგიურ და სარეკრეაციო სივრცეს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო ცენტრი ბაზალეთის ტბის მიმდებარედ, რომელიც მოიცავს: საკონფერენციო დარბაზებს, სასწავლო აუდიტორიებს, სტუდენტურ საცხოვრებლებს, კაფეტერიას, სპორტულ მოედანს და ღია სარეკრეაციო სივრცეებს. ცენტრი 100-მდე სტუმარს იტევს. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი არის მომავალზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულების მაგალითი. მისი თანამედროვე

ინფრასტრუქტურა, სტრატეგიული ინვესტიციები და ფოკუსი მდგრადობაზე, არამხოლოდ განათლების განვითარებას უწყობს ხელს, არამედ კონტრიბუცია შეაქვს რეგიონალურ და საერთაშორისო აკადემიურ პროგრესშიც.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპეციალური მედია სტუდია, რომელიც განკუთვნილია პროფესიონალური და ეფექტური საუნივერსიტეტო ღონისძიებების განხორციელებისათვის. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი არის მომავალზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულების მაგალითი. მისი თანამედროვე ინფრასტრუქტურა, სტრატეგიული ინვესტიციები და ფოკუსი მდგრადობაზე, არამხოლოდ განათლების განვითარებას უწყობს ხელს, არამედ კონტრიბუცია შეაქვს რეგიონალურ და საერთაშორისო აკადემიურ პროგრესშიც.

უნივერსიტეტის მუზეუმი გამოიყენება როგორც სალექციო, ისე ინდივიდუალური სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი სივრცე (ექსპერტთა ჯგუფმა იხილა, თუ როგორ იყენებდნენ სტუდენტები აღნიშნულ სივრცეს). სტუდენტები ასევე აქტიურად არიან ჩართულნი სამუზეუმო ექსპონატების მომზადებასა და პრეზენტაციაში. გარდა ამისა, მუზეუმი სტუდენტთა მოზიდვის პროცესის ნაწილიცაა და სკოლის მოსწავლეთა ვიზიტებისას აქტიურად გამოიყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუბრებების შედეგები და ა.შ.

- ✓ უძრავი ქონების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
- ✓ მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები;
- ✓ პრაქტიკის/სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ✓ მექანიზმები ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვისათვის.
- ✓ თვითშეფასების ანგარიში
- ✓ ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები
- ✓ ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები, მათ შორის დეკანებთან, დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან, საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლებთან, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან, სარეგისტრაციო სამსახურთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ვეტერინარული კლინიკური საქმიანობა და ვეტერინარული მომსახურების კომერციალიზაცია უდავოდ წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის კომპონენტს.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7.2. ბიბლიოთეკის რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. მისი მთავარი ფუნქციაა თანამედროვე, მაღალი ხარისხის რესურსებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც სასწავლო და კვლევითი საქმიანობის უმაღლეს დონეზე განხორციელების ხელშეწყობას ემსახურება. ბიბლიოთეკა ღიაა ყოველდღიურად 10:00-დან 21:00 საათამდე, მათ შორის შაბათ-კვირასაც.

ბიბლიოთეკის ძირითადი პრიორიტეტებია:

- შიდა და ელექტრონული კოლექციების განვითარება;
- ელექტრონული კატალოგის მართვა და გაუმჯობესება;
- ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზების მართვა;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მხარდასაჭერად;
- პერსონალის პროფესიული განვითარება.

ბიბლიოთეკის ფიზიკური და ციფრული ინფრასტრუქტურა სრულად არის მორგებული მომხმარებელთა საჭიროებებზე.

ფიზიკურ სივრცეებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამკითხველო დარბაზებს, რომლებიც ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლებისთვის არის განკუთვნილი და კომფორტულ, მშვიდ გარემოს ქმნის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს: „ჩუმ ზონას“ – ინდივიდუალური მუშაობისთვის განკუთვნილ სივრცეს; საკონფერენციო დარბაზს – აღჭურვილს თანამედროვე საპრეზენტაციო ტექნოლოგიებით, რომელიც როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული შეხვედრებისთვის წიგნის ღია, გამოიყენება; თემატურად ორგანიზებულ თაროებს, რაც მომხმარებელთა კომფორტს უზრუნველყოფს და კომპიუტერებს, პრინტერებსა და სკანერებს, რომლებიც სტუდენტებისთვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი. სტუდენტები ნამდვილად იყენებენ ამ რესურსებს. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის თითოეულ დღეს იხილა, რომ ამ რესურსებით საკმაოდ ბევრი სტუდენტი სარგებლობდა. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ

ისინი ძალიან კმაყოფილნი არიან ბიბლიოთეკისა და მათთვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსებით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საბიბლითეკო რესურსების ელექტრონული კატალოგის სისტემა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია როგორც დისტანციურად, ისე ადგილზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს ონლაინ მედია პორტალი, რომელიც სტუდენტებსა და პერსონალს საშუალებას აძლევს ატვირთონ და გადმოწერონ ელექტრონული დოკუმენტები, რითაც უმჯობესდება სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა.

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს მართვის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: მომხმარებელთა და პერსონალის რეგულარული უკუკავშირი; სივრცისა და აღჭურვილობის მდგომარეობის შემოწმება; ბიუჯეტის განსაზღვრა ინფრასტრუქტურის განახლებისათვის.

პერსონალს შეუძლია შეუკვეთოს წიგნები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები. ბიბლიოთეკის მენეჯერი ამოწმებს ხარჯებს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას გადახდის შესახებ იღებს კანცლერი. პერსონალის თქმით, ეს პროცესი გამართულია და, როგორც წესი, წარმატებით ხორციელდება.

ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში როგორც ბეჭდურ, ისე ციფრული ფორმატში, რაც სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს საშუალებას აძლევს სრულად ისარგებლონ სავალდებულო მასალებით. როგორც აქამდეც აღინიშნა, ბიბლიოთეკას გააჩნია კატალოგის მოსახერხებელი სისტემა, რომელიც ამარტივებს რესურსების მოძიებას, სასწავლო პროცესისა და აკადემიური წარმატების მხარდასაჭერად.

ბიბლიოთეკის რესურსები, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული მასალები მრავალფეროვანია, რეგულარულად ახლდება დარგის განვითარების შესაბამისად და მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევასა და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

2019 წელს საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გააძლიერა ბიბლიოთეკის სამეცნიერო რესურსები, გახდა რა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი საუნივერსიტეტო კონსორციუმის წევრი. ამ წევრობამ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს მიანიჭა წვდომა წამყვან აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე, მათ შორის: Elsevier-ის Science Direct-სა და Scopus-ზე. ამ შესაძლებლობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა წვდომა მაღალი ხარისხის კვლევით მასალებსა და სამეცნიერო პუბლიკაციებზე. გარდა ამისა, ბიბლიოთეკის საოპერაციო და განვითარების ბიუჯეტი გაიზარდა 23%-ზე მეტით წინა ავტორიზაციასთან შედარებით, რაც ასახავს უნივერსიტეტის უწვყეტ ძალისხმევას რესურსების გაფართოებისა და აკადემიური და სამეცნიერო ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც ტრადიციულ და თანამედროვე სერვისებს სთავაზობს. ინფრასტრუქტურის განვითარება, რესურსებზე ხელმისაწვდომობა და პერსონალის უწყვეტი

პროფესიული განვითარება უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის მხრიდან უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის უწყვეტ მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუბრებების შედეგები და ა.შ. ✓ წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინვენტარიზაციის მასალები. ✓ ელექტრონული საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზის გამოყენების სტატისტიკა; ✓ ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განახლებისა და განვითარების მექანიზმები; ✓ თვითშეფასების ანგარიში ✓ ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები ✓ ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები, მათ შორის ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან, დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები: • სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს თანამედროვე, ახალი ლიტერატურის ციფრულ ფორმატში გადაყვანის პროცესის რაც შეიძლება მოკლე დროში დასრულება, აღნიშნულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ - ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ○ უსდ უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობას. ○ უსდ-ს აქვს მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის IT დეპარტამენტი უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურისა და სერვისების საიმედოობას, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებლად მიმდინარეობას. IT დეპარტამენტი ეფექტიანად მართავს კრიტიკულად მნიშვნელოვან სერვისებს, მათ შორის ინტერნეტთან წვდომას, ელფოსტის სერვისებს, სისტემატურად განახლებად ვებსაიტს, საგამოცდო ცენტრს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS) და დისტანციური სწავლების მხარდაჭერას Zoom-ისა და Google Workspace-ის პლატფორმების მეშვეობით.

ინტერნეტთან წვდომა უზრუნველყოფილია ორი დამოუკიდებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხის მეშვეობით, რომლებიც აღჭურვილია ელექტრომომარაგების სათადარიგო სისტემებით, რაც უზრუნველყოფს უწყვეტობასს ძირითადი პროვაიდერის მხრიდან მომსახურების შეფერხების შემთხვევაში. უნივერსიტეტის ელფოსტის პლატფორმა, Google Workspace for Education, უზრუნველყოფს თანამედროვე და ეფექტიან კომუნიკაციას თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის, ხოლო EMIS სისტემა სრულად მართავს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პროცესებს.

უნივერსიტეტი აქტიურად ანახლებს ტექნიკურ აღჭურვილობასა და სერვისებს. მონაცემთა ბაზის უსაფრთხოება და უსართფხოების მექანიზმები სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონებს.

მიუხედავად საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით მიღწეული პროგრესისა, კვლავ არსებობს გარკვეული გამოწვევები. მაგალითად, სათადარიგო ინტერნეტის სიჩქარე (გლობალური რესურსებისთვის 2 Mbps) დაბალია, რაც შეიძლება პრობლემური გახდეს მაღალი დატვირთვის პერიოდებში.
უნივერსიტეტი მნიშვნელოვან დონეზე აკმაყოფილებს სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნებს. მისი IT ინფრასტრუქტურა და სერვისები ორგანიზებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, თუმცა დამატებითი ყურადღება უნდა მიექცეს სათადარიგო ინტერნეტის სიჩქარის ზრდასა და მონაცემთა დაცვის გაძლიერებას. აღნიშნული ზომების მიღება უზრუნველყოფს სერვისების უწყვეტობასა და უკეთეს რეაგირებას მომხმარებელთა მზარდ მოთხოვნებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- ✓ ხელშეკრულება ინტერნეტ პროვაიდერებთან
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ✓ უნივერსიტეტის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS)
- ✓ მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები.
- ✓ საინფორმაციო ტექნოლოგიების პოლიტიკა და პროცედურები;
- ✓ თვითშეფასების ანგარიში
- ✓ ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები
- ✓ ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

სასურველია, რომ სათადარიგო ინტერნეტის სიჩქარე, რომელიც 2 მეგაბაიტია გლობალური რესურსებისათვის, დაბალია და მნიშვნელოვანია ამ ხარვეზის გამოსწორება.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ - ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ - ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ - ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ - ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წლიური საერთო ბიუჯეტი დაახლოებით 35 მილიონი ლარია, რაც მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ ხარჯებს. ხარჯვითი ნაწილი უზრუნველყოფს სტრატეგიული და საოპერაციო მიზნებისთვის საჭირო რესურსებს, განსაკუთრებული აქცენტით ინსტიტუციური საქმიანობის ისეთი ძირითადი მიმართულებების უწყვეტ განვითარებაზე, როგორიცაა საგანმანათლებლო პროცესები, სამეცნიერო კვლევა, საბიბლიოთეკო რესურსები და ინფრასტრუქტურის განვითარება. სახელფასო ხარჯებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან 2024 წლამდე უნივერსიტეტში ხელფასები დაახლოებით 45%-ით გაიზარდა.

განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესვას უნივერსიტეტში დანერგილ, ფინანსური ანგარიშგების, მენეჯმენტისა და კონტროლის ეფექტურ სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური სტანდარტების დაცვასა და რესურსების არამიზნობრივი ხარჯვის რეგულირებას.

უნივერსიტეტის დამფუძნებელია ცოდნის ფონდი, რომელიც აქტიურად არის ჩართული ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს საბანკო დეპოზიტი, რომელიც ოთხი თვის ხელფასების ეკვივალენტურია და ფინანსურ ბუფერს წარმოადგენს.

უნივერსიტეტი იყენებს ერთიან საბიუჯეტო მოდელს, რომლის მიხედვითაც თითოეულ პროგრამას დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ გააჩნია. ეს საშუალებას იძლევა, უფრო მოქნილად გადანაწილდეს ფინანსური რესურსები პროგრამებს შორის.

უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითადი წყაროებია:
სტუდენტთა გადასახადები (სწავლის საფასურის შემოსავლის 65%, საერთო შემოსავლის 42.2%;
სახელმწიფო საგანმანათლებლო გრანტები (სწავლის საფასურის შემოსავლის 29%, საერთო შემოსავლის 19%;)
„ცოდნის ფონდის“ სტიპენდიები („მოგზაურობის გრანტი“) **– (სწავლის საფასურიდს შემოსავლის 5%, საერთო შემოსავლის 3.1%);
სოციალური გრანტები და სხვა დაფინანსება (სწავლის საფასურის შემოსავლის 1%, საერთო შემოსავლის 0.6%.)

შემოსავლის დამატებითი წყაროებს წარმოადგენს ლაბორატორიული და პრაქტიკული საქმიანობების კომერციალიზაციით მიღებული შემოსავლები, და ასევე სავეტერინარო მომსახურება.
გამორჩეული მიდგომაა 100%-იანი რეინვესტირება განათლებაში! ყველა მოგება სრულად რეინვესტირდება განათლებაში, ფინანსურ რეზერვებსა და სტუდენტზე ორიენტირებულ პროგრამებში. თვითშეფასების ჯგუფმა აღნიშნა, „ჩვენ ფინანსურად სტაბილურები ვართ.“

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი გრძელვადიან პერსპექტივაში ფინანსურად სტაბილური ინსტიტუციაა, რომელიც პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ვალდებულებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუბრებების შედეგები და ა.შ.

- ✓ თვითშეფასების ანგარიში
- ✓ უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- ✓ უნივერსიტეტის დაფინანსების დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში / ფინანსური ანგარიშგება მიმდინარე და/ან წინა საანგარიშო პერიოდისთვის;
- ✓ დოკუმენტი უნივერსიტეტის ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის სისტემის განხორციელების შესახებ;
- ✓ ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები, მათ შორის თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.